



# მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან  
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:  
WWW.opentext.ge/menora

ებრაული გაზეთი საქართველოში  MENORA JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA	"מנורה"  עיתון יהודי  בגוריה	"МЕНОРА"  ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА  В ГРУЗИИ
--	--	--

დიკემბერი  
 (ძისლჰვი)  
 15-30  
 №24 (288)  
 (5769 ნაელი)  
 2008 ნელი  
 ფასი 50 თეთრი

## הוראה

### წახედავთ სწავლას ველთში:

მეთრე ღლის სანთელს ანთებს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი,  
მეხუთე ღლისას – პირველი ლედი ქალბატონი სანდრა რულოვისი



„ქორთიარდ მარიოტში“ ებრაელი ერის გამირობის დღეებს ბიზნეს-პალატის ხელმძღვანელმა, იციკ მოშემ მშვენიერი დღესასწაული მიუძღვნა. დღესასწაულის მთავარი პერსონაჟები იყვნენ ქართველი ჯარისკაცები, რომლებმაც „დაიცვეს პატარა ქვეყანა და დიდი ერი“.

აგვისტოში განვითარებული მოვლენების დროს, საქართველომ ისრაელის სახელმწიფოსა და მისი ორგანიზაციების მხრიდან დიდი დახმარება და თანადგომა იგრძნო. საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატის, საქართველოში ისრაელის საელჩოს და ისრაელის პარლამენტის მხარდაჭერით 22

დაჭრილი ქართველი ჯარისკაცი გადაყვანილ იქნა ისრაელში, სადაც მათ ჩაუტარდათ მრავალი ოპერაცია და გაიარეს მკურნალობა.

— ჩვენი ქვეყანა, ისრაელი, მუდამ ტერაქტებისა და საომარი მოქმედებების მდგომარეობაში იმყოფება და მე ვთვლი, რომ ჩვენ ვალდებული ვართ თანადგომა გამოვუცხადოთ ერთმანეთს, დავიცვათ ჩვენი ქვეყნებისა და მოქალაქეების ერთიანობა და დამოუკიდებლობა. — განაცხადა ისრაელ-საქართველოს ბიზნეს პალატის პრეზიდენტმა ბ-ნმა იციკ მოშემ.

სწორედ ამიტომ, წლევიანდელი

ხანუა მიეძღვნა აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებულ ქართველ ჯარისკაცებს.

სალამო გაიხსნა ებრაული სიმღერით მომღერალ ია ჩანტლადის შესრულებით. წარმოდგენილ იქნა აგვისტოს მოვლენების შედეგად ისრაელის მხარდამჭერი აქციების ქრონიკა — მოკლე ვიდეოკოლაჟი, რომელშიც ნაჩვენებია იყო იმ 22 ჯარისკაცის ისრაელში ჩაყვანისა და მკურნალობის კადრები. საუბარი იყო აგრეთვე „სოხნუთის“, „ჯოინთის“, წითელი ჯვრისა და ISRAELI FLYING AID-ის ჰუმანიტარულ აქციე-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

### "მენორას" 15 წლისთავს ულოცავენ:

ჩემი ძვირფასო თანამემამულეო,  
ნებისმიერი თარიღი, რომელიც საქართველოში ებრაული თემის ცხოვრებას და მოღვაწეობას ეხება, არის ძიელი ქართული საზოგადოებისათვის უძიმვენლოვანესი და საყურადღებო თარიღი.

ქართველთა და ებრაელთა ძრავალსუკუნოვანი თანაცხოვრება, ეს არის კაცობრიობის ისტორიაში შეძღარი უნიკალური მოვლენა, რომელსაც საქართველოს ყოველი მოქალაქე განსაკუთრებული პატივისცემითა და რუღუნებით ეკიდება.

სულით და ტულით უკლიტავ განეთ „მენორას“ შეძქმედებით კლიექტივს დაარსებდან 15 წლისთავს.

უკლიტავ ბრწყინვალე ძამულიძეებს, რომელთაც დაარსეს ეს განეთი და ძალისხმევას არ იშურებენ საქართველო-ისრაელის მეტობობის განძქციკებისათვის.

ტისურვებთ შეძღტომ შეძქმედებით წარძქციკებებს და კეილდღებებს.

პატივისცემით,  
მიხეილ სააკაშვილი  
საქართველოს პრეზიდენტი

#### პატივისცემული მკითხველო!

მეტად მოხარული ვარ, რომ მეძღევასაშუალებას მივულოცო განეთ „მენორას“ დაარსების 15 წელი. „მენორა“ ყოველითვის მნიშვენლოვანი ხიდი იყო ისრაელსა და საქართველოს ებრაულ თემს შორის. ამასთანავე, უდიდესი წვლილი შექქონდა ებრაული თემის მემკვიდრეობისა და იდენტროფიკაციის საქმეში. ვსარებლობ შემთხვევით და მადლობას მოვასხნენ ბ-ნ გურამ ბათიაშვილს, რომლის პასუხისმგებლობით აღსავსე და თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ „მენორა“ ამდენი წელია უწყვეტად გამოდის.

„მენორას“ ყველა მკითხველს ბედნიერ ხანუქას ვუსურვებ.



იხსაპ ბერბარბი  
ისრაელის საგანგებო და სრულიუფლებიანი ელჩი საქართველოში

(პირველი გვერდიდან)

ბზე, ომით დაზარალებულების მიმართ. სალამოს უძღვებოდა ისრაელ-საქართველოს ბიზნეს-პალატის თავმჯდომარე ბ-ნი იციკ მოშე. მან სცენაზე მიიწვია ქოენი რაფიელ მესენგისერი, რომელმაც სანთლის ანთებასთან ერთად აღავლინა ხანუქის კურთხევა. მიკროფონთან მიდინ ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბ-ნი იცხაკ გერბერგი და ჯარისკაცი მიხილ დოლიძე, რომელსაც ისრაელში ნ ოპერაცია ჩაუტარდა.

— ყველამ იცის, რომ ხანუქა არის ყველაზე ცნობილი ებრაული დღესასწაული, რომელიც ებრაული ხალხის თავისუფლებასთანაა დაკავშირებული. ხანუქა, ეს არის სანთლის — სიბნელეზე, სიკეთის — ბოროტებაზე, სამართლიანობის — უსამართლობაზე და მცირე ერების — დიდ ერებზე გამარჯვების სიმბოლო.

ისრაელი არის საქართველოს მეგობარი ქვეყანა და ამ ქვეყნებს, მართლაც, ბევრი აქვთ საერთო, მათ უწევთ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ჩვენ,

როგორც ახლა, აგრეთვე მომავალშიც, ვიზრუნებთ ჩვენი მოქალაქეების ერთიან და მშვიდობიან სახელმწიფოში ცხოვრებაზე. მე მიინდა მადლობა გადავუხადო მობრძანებისათვის და ვიმედოვნებ, რომ ხანუქის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია, ისევე, როგორც ჩვენ ქვეყნებს შორის მეგობრობა და ურთიერთმხარდაჭერა, მომავალშიც გაგრძელდება.

ხაკ ხანუქა სამეხა!

სალამოს ორგანიზატორმა, ისრაელ-საქართველოს ბიზნეს პალატის პრეზიდენტმა, ბატონმა იციკ მოშემ სცენაზე მოიწვია საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი მიხილ სააკაშვილი, რომელიც უკვე მესამე წელია ანთებს ხანუქას სანთელს.

**საპარტიველოს არაზიდენის, მიხილ სააკაშვილის სიტყვა:**

— მე მიინდა დიდი მადლობა გითხრათ ჩვენი ბიჭების მკურნალობისათვის. მიინდა გადაგიხადოთ მადლობა იმი-სათვის, რომ ისრაელისა და საქართველოს ურთიერთობები

ვითარდება ძალიან კარგად, ძალიან დიდი ტემპით, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება ვინმეს არ სიამაოვნებდეს და თვალში ცუდად ხედებოდეს, მიინდა აღვნიშნო, რომ ეს ურთიერთობები განვითარდება კიდევ ყველანაირი პოლიტიკური ვითარების, დაბრკოლების და ყველა სხვა წინააღმდეგობებისა და სირთულეების მიუხედავად, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს.

მე ძალიან მადლობელი ვარ ისრაელის საელჩოს მუშაობით საქართველოში, აგრეთვე ისრაელ-საქართველოს ბიზნეს პალატის, კერძოდ, კი იციკ მოშეთი და მივიჩნევ, რომ ისინი გახდნენ მთლიანად გამინათებულნი, ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ნაწილი.

ჩვენ ისრაელში გვყავს ჩვენი განუყოფელი ნაწილი ქართველი ებრაელობა, მე არასდროს დამავინწყდება ჩემი ვიზ-

იტი აშდოდში, როდესაც ქუჩაში მიმავალს მე და ჩვენი დელეგაციის ყველა წევრს გვქონდა განცდა, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით უბრალოდ ერთ-ერთ ყველაზე თბილ და სტუმართმოყვარე ქართულ ქალაქში. იქ იმყოფებოდნენ ჩვენი თანამემამულეები, გულანთებული ქართველები, რომლებიც აშავი დროს, რა თქმა უნდა, არიან თავინთი ქვეყნის ერთგული შვილები და პატრიოტები. საქართველო არის ქვეყანა, სადაც ისრაელის პატრიოტიზმი და საქართველოს პატრიოტიზმი, შეიძლება იყოს 100 პროცენტით თანმხვედრი ერთმანეთის შევსებით. ასეთი კომბინაცია და მისწრაფება, სხვადასხვა ქვეყნებს შორის ძალზე იშვიათია. საკმარისია, გადავხედოთ თუნდაც ჩვენი მთავრობის, თანამდებობის პირების, კულტურის მოღვაწეების, სპორტის და სხვა

სფეროს შემადგენლობას, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს კავშირები არის ძალიან მჭიდრო, განუყოფელი და მნიშვნელოვანი, ამიტომ მე არა მხოლოდ მეხუთე წელია ვანთებ ამ სანთელს, არამედ ეს ხუთი წელია დასტური იმისა, თუ რამდენად მკვეთრად წინ წავიდა ჩვენი ურთიერთობა და რამდენად უახლოვდებიან ერთმანეთს ჩვენი სახელმწიფოები და ხალხები. და დაე, ასე იყოს მუდმივად! მე ვარ ამით ძალიან ამაყი, რომ ჩემი პრეზიდენტობის დროს, და მე ამისთვის კიდევ მაქვს დარჩენილი ოთხ წელზე მეტი, რათა ავაყვავო ჩვენი ურთიერთობები სტრატეგიულ დონეზე, ავაყვავო და მართლაც, შეუქცევლად დავაახლოვო ჩვენი ქვეყნები. გამოსვლის შემდეგ პრეზიდენტი გაესაუბრა იქ მყოფ დაჭრილ ჯარისკაცებს.

**მაკაბეიელთა წიგნი**

მას შემდეგ, რაც აღექვანდრე ფილოპუს ძემ, მაკედონელმა დაამარცხა სპარსეთისა და მიდიის მეფე დარიუსი, მან ტახტი ხელთ იგდო და გამეფდა ელადაში. მან დაიპყრო მრავალი ციხე-სიმაგრე, დაიმორჩილა სახელმწიფოები და ხალხები. კიდეც კიდევდევ მისი სახელი ხელმწიფეებს შიშის ზარს სცემდა. იგი ხარკს ჰკრევდა ვასალ ხელმწიფეებისგან. სიკვდილის ჟამი რომ მოუახლოვდა, მოიხმო თავისი ერთგული თანამებრძოლნი და თავისი სამეფო მათ გაუყო. იგი თორმეტი წელიწადს მეფობდა.

მის მიერ დანიშნულმა მსახურებმა, დაიდგეს რა თავზე სამეფო გვირგვინი, ქვეყნად ბოროტება ამრავლეს. მათგან გამოვიდა ცოდვის ფესვი — ანტიოხუს ეპიფანე. იგი გამეფდა ელჩიელთა ბატონობის ას ოცდამეჩვიდმეტი წელიწადს.

იმ დღეებში ისრაელთა რიგებიდან უკანონო შვილები გამოვიდნენ, რომლებიც სხვებს არწმუნებდნენ: მოდიოთ, შევეურთდეო ხალხებს, რომლებიც ჩვენს ირგვლივ ცხოვრობენ, რადგან უბედურება გვეწვევა მას შემდეგ, რაც მათ გამოვეყავითო.

და ეს სიტყვები ბევრს ჭკუაში უჯდებოდა.

ბევრმა გამოსთქვა სურვილი გადასულიყვნენ სხვა ხალხთა ნესებზე და მეფეს თხოვნით მიმართეს. მეფემ ნება დართო მათ კერპის თავყვანისცემისა: იერუსალიმში მათ წარმართული სასწავლებელი ააგეს.

და გააუქმეს ბრით-მილა, და განუდგნენ მიცვებს, და შეუერთდნენ წარმართებს.

როცა ანტიოხუსმა დაინახა, რომ მისი სამეფო გამაგრდა და განმტკიცდა, იერუსალიმში ჯარის შეიყვანა; ტაძარში ზვიდად შევიდა, გაძარცვა, მიითვისა რაც იქ ოქრო-ვერცხლი იყო.

ისრაელის სახლში ტირილი და მოთქმა ისმოდა.

ორი წლის შემდეგ იგი შევიდა იერუსალიმში და მშვიდობიანი ხმით დაუნყო მკვიდრთ ლაპარაკი, და ყველამ დაუჯერა მისი სიტყვებს; მაგრამ უეცრად მზაკვარი მეფე ქალაქს ჯარით თავს დაესხა და მრავალი ისრაელიშვილი ამოხოცა.

ქალები და ბავშვები დატყვევდა და თან ნადავლი წაიძლოდა.

შებლალეს წმინდა ტაძარი სისხლითა და სიბინძურით.

კარგი დღეები ტირილის დღეებდ იქცა.

მეფე ანტიოხუსმა მოუნდა თავისი სამეფოს ხალხებს, რომ ერთ ერად გაერთიანებულიყვნენ. ყველა ხალხი დათანხმდა,

მათ შორის მრავალი ისრაელიშვილიც.

ანტიოხუსმა გამოსცა კანონი, რომ ტაძარში შემეყდარიყო მსხვერპლის მიტანა და საღვთო სამსახური; რომ აეგოთ კერპის სათაყვანისმცემლო ტაძრები და შეენირათ ღირის ხორცი; რომ შვილები ბრით-მილის გარეშე დაეტოვებინათ და დაევიწყებინათ თავიანთი წეს-კანონები.

ამ ახალი კანონის დამრღვევს სიკვდილით დასჯა მოელოდა. ისრაელიშვილი მიიმალნენ თავმესაფარში და ფარულად ემსახურებოდნენ თავიანთ ღმერთს.

მაგრამ მტერი კანონის წიგნებს სწავადა და სარწმუნოების ერთგულებს ახრჩობდა: ისრაელს გლოვის ფარდა ჩამოეფარა.

\*\*\*

იმ დღეებში აღსდგა მათათია, იოჰანანის ძე, მოდინში. ის ხუთი ვაჟის მამა იყო.

ტაძრისა და ერის განადგურება რომ იხილა, ტანზე სამოსი შემოიგლიჯა. მას შეუერთდნენ შვილები, და ოჯახი მოჰყვა მწარედ ქვითინს.

მივიდნენ მათთან ანტიოხუსის რაზმელები და შესთავაზეს: გადმოდიო ჩვენს სარწმუნოებაზეო.

მათათია არ შემდრკალა და ისინი უარით გაისტუმრა.

მაშინ მოვიდა კაცი, იუდეველი და მათ თვალწინ კერპზე სანირავი მიიტანა.

მათათიამ რომ ეს იხილა, მივარდა და დააკლა იგი ზედ სანირავს.

შემდეგ მიაყოლა მეფის შიკრიკი, რომელსაც იძულებით გადაჰყავდა ხალხი თავის რწმენაზე, და დაანგრია წარმართული სამსხვერპლო.

და შვილებიანად მთებს შეეხიზნა.

ვინც ღვთის ერთგული დარჩა, ყველამ იქ შეაფარა თავი. მაგრამ მტერი მათ შაბათობით ესხმოდა თავს და ამგვარად ამოჰლიტა ათასამდე ქალი და კაცი, პირუტყვთან ერთად.

ეს ცნობა მათათიას ყურს რომ მოსწვდა, გულზე ბოღმა მოაწვა.

სთქვა: თუ აწივ ასე მოვიქცევი, მალე ყველას ამოგვხოცავენო.

და გადასწყვიტეს: თუ შაბათ დღეს დაგვესხმინათ თავს, გამოვალთ საომრად, რომ ჩვენი ზედკრული ძმების ბედი არ გვეწიოსო.

და მათათიას მრავალი ისრაელი ამოუდგა მხარში. ისინი თავს ესხმოდნენ მოლაღატეებს. გადაგვარებულმა ისრაელებმა მტრის ბუნაგს შეაფარეს თავი.

მათათიამ შემოუარა ისრაელთა კერებს, ვისაც ბრით-მილა არ ჰქონდა გაკეთებული, ყველას გაუქეთა.

და სიკვდილის ჟამი რომ მოუახლოვდა, შვილებს დაუბარა, მისი საქმე ბოლომდე მიეყვანათ.

„ნუ შედრკებით მცოდნავთა სიტყვების წინაშე. დღეს ის განდიდება, ხვალ კი ფერფლად იქცევა, მისი ნააზრევი კი დაიღუპება.“

„აი შიმყონი — თქვენი ძმა. გაუგონეთ მას, რჩევა მას ჰკითხეთ: მამობას მაგ გაგინეთ; „იეჰუდა კი ძვალმაგარია სიჭაბუკიდანვე, ჯარს წინ გაუძღვება.“

მათათიამ აკურთხა შვილები და თავის მამა-პაპას შეუერთდა. შვილებმა მამა დაასაფლავეს მოდინში პაპისეულ საფლავში.

\*\*\*

იეჰუდა ჯარს სათავეში ჩაუდგა; ხალხი ნებაყოფლობით შეკრიბა და რისხვად მოეწონა მოლაღატეებსა და ისრაელის კანონთა შემრყენელებს. ძმები მხარში ედგნენ:

აპოლონიუსმა შეკრიბა ჯარი და სამარიიდან დაიძრა ისრაელთან საბრძოლველად.

იეჰუდამ ეს რომ გაიგო, მის დასახვედრად გაემართა. დაამარცხა და მოჰკლა იგი, დანარჩენები კი გაიქცნენ.

შემდეგ სირონი, სირიის მეფე დაესხა თავს, მაგრამ მასაც ასეთივე ბედი ეწია.

იეჰუდასსახელიყველასპირზე ეკერა, მის ძღვემოსილებაზე ხალხები აღაპარაკდნენ.

ხმებმა ანტიოხუსის ყურამდეც მიაღწია. იგი ბრაზით აღენთო და იეჰუდას წინააღმდეგ გაჰზავნა საკმაოდ ძლიერი და კარგად აღჭურვილი ჯარი.

ჯარს წამაგირი დაუნიშნა და უბრძანა ყოველ წუთს მზადყოფნაში ყოფილიყვნენ. მაგრამ ხაზინა მალე დაცარიელდა. და მან გადასწყვიტა ვერცხლი სპარსეთში შეეკრიბა. სამეფო საქმეები კი გადააბარა წარჩინებული გვარის შვილს — სილოუსს.

სილოუსმა ამოირჩია პტოლომეუსი, დორიძენის ძე, ნიკანორი და გორგი ჯარის მხედართმთავრებად; მისცა ას ორმოცი ათასი მეომარი და შეიდი ათასი

მხედარი მაკაბეიელბთან საომრად.

მაკაბის ჯარი სრულ მზადყოფნაში იყო, იგი პოზიციებზე გამაგრდა.

იერუსალიმი უდაბნოსავით უკაცრიელი იყო.

იეჰუდამ დანიშნა ჯარის მეთაურები, თვით რაზმი კი დაჰყო ათასეულებად, ასეულებად და ათეულებად.

და მოუწოდა ჯარს ასეთი სიტყვებით: „სირცხვილში ცხოვრებას ბრძოლაში სიკვდილი ვარჩით. დაე, მოხდეს ისე, როგორც ღმერთის ნება იქნება!“

\*\*\*

ემალის მთასთან გორგის ჯარი დამარცხებულ იქნა. იეჰუდას ჯარი დაეუფლა დიდძალ ნადავლს, ოქრო-ვერცხლსა და სიმდიდრეს.

და იმ დღეს ისრაელში დიდი სიხარული იდგა.

როცა ლისიუსს უამბეს დამარცხების ამბავი, შეჰკრიბა სამოცი ათასი რჩეული ვაჟკაცი და ხუთი ათასი მხედარი და გაეშურა მაკაბისტან შესარკინებლად.

იღუმეაში იეჰუდა მას ათი ათასი მეომრით შეხვდა.

ამ ბრძოლაში დაეცა ხუთი ათასი კაცი ლისიუსის ჯარიდან.

ლისიუსმა შეავსო შეთხელებული ჯარის ნაწილები ანტიოხუსის ძალებით და ისევე იუდეაში გამგზავრება დააპირა.

იეჰუდამ და მისმა ძმებმა სთქვეს: აი, მტრედი დამარცხებულია, ავიდეთ სიონის მთაზე და განვწმინდოთ ტაძარი.

და თვალთ იხილეს, რომ ტაძარი განჩანგებულა, სამსხვერპლო მეტილწულა, გაღავანი დამწვარი და დაწვრეული.

შემოიგლიჯეს ტანზე სამოსი და მოჰყვნენ გოდებას, თავზე ფერფლი გადაიყარეს.

იეჰუდამ კოჰენთა რიგებიდან ამოირჩია ყველაზე უცოდველები, კანონის ერთგულები და მათთან ერთად შეუდგა ტაძრის განწმენდას.

შემდეგ მოითათობირეს, თუ რა ექნათ შებლაღულ სამსხვერპლოსათვის და გადასწყვიტეს მისი დანგრევა.

ქვეტი კი მოშორებით მთაზე დააწყვეს.

ხალხი სიხარულით ცას ეწოდა, როდესაც ტაძარში საღვთო სამსახური დაიწყო.

ამის შემდეგ იეჰუდამ მთას ირგვლივ გაღავანი შემოარტყა, რათა მტრისათვის ტაძარი მიუ-

ნდომელი ყოფილიყო, თუ კი როდესმე შესძლებდა იერუსალიმში შეჭრას.

\*\*\*

... და იეჰუდას ჯარი განლაგდა მთის ძირში, რათა ხალხს ჰქონოდა ციხე-სიმაგრე იღუმეასთან ბრძოლისას...

მაკაბი თავს ესხმოდა სოფლებსა და დასახლებებს, მტერს ლახვარსა სცემდა და ისრაელთა რიგებში მოხალისეებს არჩევდა, რომლებმაც არ დაჰკარგეს იუდეველთა კანონისადმი ერთგულება. ამგვარად, შეჰკრიბა 6 ათასი კაცი.

მტერს ღამ-ღამობით ესხმოდა თავს და უცვლელად უქუაგდებდა.

— ისინი — ამბობდა იეჰუდა — იმედს სამომარ აღჭურვილობაზე ამყარებენ, ჩვენ კი — ღმერთზე.

ჯარის მთავრებად ძმები დანიშნა — შიმყონი, იოსები და იონათანი, და ყოველ მათგანს 1500 კაცი მიაბარა.

იგი ემზადებოდა ნიკანორის ჯართან შესაბმელად.

ელკაზარს უბრძანა წმინდა წიგნის ნაკითხვა და, ახსენა რა ღმერთის სახელი, ჯარს ბრძოლის ველისაკენ წინ გაუძღვა. ამ ბრძოლაში მტრის ბანაკში ცხრა ათასი კაცი დაეცა, კიდევ უფრო მეტი დაიჭრა, დანარჩენებმა კი იეჰუდას ჯარს ზურგი აქციეს.

ეს იყო შაბათის წინა დღეს, და მხოლოდ ამის გამო არ დაედევნენ მაკაბეილნი მტერს კვალდაკვალ.

შაბათი რომ გაბრძანდა, ნადავლი ინვალიდებს, ქვრივებსა და ღარიბებს გაუნაწილეს, ნაწილი კი თავის შვილებს დაურიგეს.

მტერს ისევ დაედევნენ, დაამარცხეს, განაიარაღეს და ნადავლი იერუსალიმში მიიტანეს.

ნიკანორი კი, შერცხვენილი და პატივსხილი იმით მიერ, ვისაც არარად სთვლიდა, დევნილი მონის სამოსში ფარული გზებით ანტი-ოხიაში გაიქცა.

ის, ვინც რომიდან იყო გამოგზავნილი ხარკის შესაკრებად იერუსალიმში, რომში კუდამოშუებული დაბრუნდა და ასეთი ამბავი ჩაიტანა:

— იუდეველებს ღმერთი ჰყავთ დამხმარედ და ამიტომ ბრძოლის ველიდან უვნებლად გამოდიან, რადგან ღმერთის დაწესებულ კანონებს იცავენო.

იმ დღეს, როცა წარმართებმა შებიღნეს ტაძარი, განწმინდა იგი მაკაბეელთა მიერ. ეს მოხდა კისლევის თვის ოცდამეხუთე დღეს.

და რვა დღე მხიარულებაში გაატარეს ისრაელებმა და გადასწყვიტეს — ამიერიდან მთელმა ხალხმა აღნიშნოს ყოველწლიურად ეს დღესასწაული.

ასეთი იყო ანტიოხუს ეპიფანეს სამარცხვინო ბოლო.

# დღესასწაული "ჯონის" აპილით

24 დეკემბერს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, „ჯონის“ ხელშეწყობით გაიმართა ყოველწლიური ებრაული წიგნის ფესტივალი, რომელიც მიეძღვნა ხანუქის ბრწყინვალე დღესასწაულს.

წიგნის გამოფენა მოეწყო კულტურულ საგანმანათლებლო ფონდის დირექტორის **ელენე ბერკოვიჩის** ხელმძღვანელობით. დამოკავალიერებელს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ებრაული სიტყვიერების — ბიბლიის, თალმუდის გამოცემებს, მწერლების ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ებრაულ ენებზე გამოცემულ წიგნებს. მრავლად იყო საბავშვო, რელიგიური და სხვა ძველი და ახალი გამოცემები.

მოწვეულთა შორის იყვნენ ქართველი და ქართველი ებრაელი მწერლები, მეცნიერები, სხვადასხვა ებრაული ორგანიზაციები, საქართველოში ისრაელის საელჩოს წარმომადგენლები და სხვა დარგის მოღვაწენი.

საღამო გაიხსნა ამ ფესტივალის ორგანიზატორის ელენე ბერკოვიჩის მისალმებითა და ხანუქის დღესასწაულისა და ფესტივალის გახსნის მილოცვით. პირველი სანთელი ანთო და ხანუქა აკურთხა

საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა ავიმელეს როზენბლატმა. შემდეგ სანთლების ასანთებად მოიწვიეს: ქართველ ებრაელთა ბეით-ქნესეთის გაბაი **შალვა ქოსაშვილი**. მან თქვა:

— მოგესალმებით და მოგილოცავთ ხანუქას დღესასწაულს. ეს გახლავთ გამარჯვების დღე, დღე, როდესაც ებრაელმა ხალხმა თავიანთი სისხლით, თავიანთი დიდი გმირობის ფასად დაამარცხა მტერი. სინათლემ გაიმარჯვა სიბნელეზე. მე მინდა გისურვოთ სინათლე თითოეული თქვენგანის ოჯახში, ბედნიერება, სიკეთე და სიხარული ყოფილიყოს თქვენი თანმხლები. მშვიდობას ვუსურვებ როგორც საქართველოს, ასევე ჩვენს ისრაელს. მრავალ ხანუქას დაესწარით!

**„ჯონის“ კურატორი კავკასიის ქვეყნებში ქ-ნი ირინა რიბსკი:**

— ძვირფასო მეგობრებო, პატივცემულო სტუმრებო, ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ დღეს უკვე ტრადიციულად ხანუქას

დღესასწაულს ერთად აღვნიშნავთ.

ვიცი, რომ სპექტაკლი, რომელსაც ჩვენ დღეს ვიხილავთ — „ურიელ აკოსტა“ თავად კოტე მარჯანიშვილმა დადგა 1929 წელს, მაგრამ ეს სპექტაკლი კვლავ ცოცხალია და მას კვლავ თამაშობენ, უკვე მეოთხე თაობის მსახიობები. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ის თაობა, რომელმაც მრავალი წლის წინ დაიწყო ხანუქის დღესასწაულის აღნიშვნა და ესეც სასწაულია. მე გისურვებთ, რომ ეს და მომდევნო — 2009 წელი იყოს გამარჯვების, სინათლის და სასწაულის მომტანი, იყავით ჯანმრთელები და დღეგრძელები.

ქალბატონმა ელენე ბერკოვიჩმა ყველას სახელით მიულოცა გაზეთ „მენორას“ და მის მთავარ რედაქტორს გურამ ბათიაშვილს 15 წლის იუბილე და სანთლის ასანთებად მიიწვია **მწერალი, „მენორას“ მთავარი რედაქტორი გურამ ბათიაშვილი**.

— ძვირფასო მეგობრებო, ნება მომეცით მოგილოცოთ

ხანუქას ბრწყინვალე დღესასწაული. მოგილოცოთ წიგნის ფესტივალი და „მენორას“ 15 წლისთავზე გამოცემული კრებული, რომელიც მოთავსებულია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაზეთში დაბეჭდილი საინტერესო მასალები.

მე მიმაჩნია, რომ აქ არის საქართველოს ებრაელობის ბოლო ხუთი წლის ისტორია, აქ აღბეჭდილია ის, რაც ხდებოდა საქართველოში ებრაელობაში. წიგნის გამოცემის დაფინანსებისათვის მინდა მადლობა ვუთხრა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს და „ჯონის“. ჩვენ აქ მოვიტანეთ თქვენთვის რამდენიმე ათეული ეგზემპლარი. ვისაც კრებული არ შეგხვდათ, მობრძანდით რედაქციაში და მიიღებთ მას უსასყიდლოდ.

შემდეგ გ. ბათიაშვილმა შეკრებილთ ნაუკითხა საქართველოს პრეზიდენტის, ბ-ნ მიხეილ სააკაშვილის მისალმება გაზეთ „მენორას“ 15 წლისთავთან დაკავშირებით და დასძინა: გაზეთ „მენორას“ 15 წლის

იუბილე, ეს არის მართლაც, საყოველთაო და ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი ქართველი ებრაელებისათვის და არა მხოლოდ მათთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. ამას ადასტურებს პრეზიდენტის მოლოცვა. მე მინდა მადლობა გადავუხადო პრეზიდენტს ამ გულითადი მოლოცვისათვის.

შემდეგ წარმოადგინო იქნა სპექტაკლი „ურიელ აკოსტა“.

\*\*\*

25 დეკემბერს ებრაული სახლის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრმა ხანუქის დღესასწაული ბავშვებისათვის გამართა. მცირეწლოვანი ბავშვები მღეროდნენ ქართულ, ებრაულ, ინგლისურ ენებზე, ცეკვავდნენ, წარმოთქვამდნენ ხანუქის სადიდებელს. მარიეტა ისრაელიანმა ხანუქის სანთლების ასანთებად მიიწვია **იულია როზენბლატი**. თბილისში მყოფი ევრ-აზიის კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე იოსებ ზისელსი, ირინა რიბსკი, აღსაზრდელთა მშობლები.

ეს იყო მომხიბლავი სანახაობა, რომელიც გხიბლავდა ბავშვთა უშუალოდ.

# ხანუქა "სოხნუთში"

„ილუსტრაციები ანა ფრანკის დღიურისათვის“

25 დეკემბერს "სოხნუთში" მოეწყო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ანა ფრანკის დღიურს. პროექტის ავტორი გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ნინო ზალიძევილი, გამოფენის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის სტუდენტებმა და ახალგაზრდა მხატვრებმა. საღამოს გაუძღვა ებრაული სააგენტო ისრაელისათვის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ამიერკავკასიაში **გრიგორი ბროდსკი**.

— პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას აქ მობრძანებისათვის, რათა ერთად გიზეიმოთ ხანუქა.

გ. ბროდსკიმ საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელ ავიმელეს როზენბლატს სთხოვა სახანუქე სანთლის კურთხევა, გულითადად მიესალმა საქართველოს პრეზიდენტის მიუღწეველი — სანდრა რულოვს და მიიწვია ხანუქის სანთლის ასანთებად.

ავიმელეს როზენბლატი და ქ-ნი სანდრა რულოვსი ანთებენ ხანუქის სანთლებს. ბ-ნი გრიგორი ბროდსკი ამბობს:

— მე ვხედავ აქ ძალიან ბევრ ნაცნობ სახეს, არა მხოლოდ ჩვენი თემის წარმომადგენლებს, საქართველოს სამხატვრო აკადემიის სტუდენტ-მასწავლებლებს. უკვე მეორე წელია, რაც ჩვენ ვანუგობთ სამხატვრო აკადემიის სტუდენტების გამოფენას. შარშან გვქონდა გამოფენა „ებრაული სამყარო“ და ახლა ქალბატონ ნინო ზალიძევილის ინიციატივით, მისი იდეით მოვანწყვეთ გამოფენა „ანა ფრანკის დღიური“. ეს არა მხოლოდ გამოფენაა, არამედ კონკურსია.

ხოლოკოსტის თემა ძალიან მტკივნეულია ებრაელი ხალხისათვის. თქვენ იცით, რომ ხოლოკოსტის დროს დაიღუპა 6 მილიონი ებრაელი და „ანა ფრანკის დღიური“ ასახავს ბავშვის თვალთ დახასულ იმ ტრაგედიას, რაც გადაიტანა ებრაელმა ხალხმა. ანას ყოველდღიურობა წარმოადგენს მის შთბეჭდილებებსა და გრძობებს. და მე, როგორც ებრაელი, ამაყი ვარ, რომ არის ასეთი დაინტერესება სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს შორის.

**ქ-ნი ნინო ზალიძევილი:**

— მივესალმები ქალბატონ სანდრა



სანდრა ელისაბედ რულოვსი და გრიგორი ბროდსკი

რულოვსს. მინდა გითხრა, რომ ქ-ნი სანდრა სამხატვრო აკადემიაში თავის დროზე წარმატებით ატარებდა ლექციებს ხელოვნების ისტორიაში. მე მახსოვს როგორი აღფრთოვანება გამოიწვია მისმა არაჩვეულებრივმა ლექციამ ვან გოგის შესახებ. გარდა ამისა, ის ყოველთვის ნინამძღოლობს და მეგზურობს იმ უცხოელ მხატვართა ჯგუფებს, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში და მათთან ერთად მოგზაურობს საქართველოს ძეგლების დასათვალიერებლად. მისი დედაც მხატვარია, ასე რომ, მისი სიყვარული მხატვრობისადმი ბუნებრივია და ორგანულიც. მე მოხარული ვარ, რომ სწორედ დღეს იგი ბრძანდება აქ. ანა ფრანკი არის დამაკავშირებელი ერთდროულად ებრაელი, პოლანდიელი ხალხისა და დღეს ქართველებსაც. როცა ანა ფრანკის მთარგმნელმა ქართულად ანა ფრანკის მამას მისწერა ბარათი, რომელიც ფაშინ ცოცხალი იყო, მან უპასუხა, რომ „თქვენ ამ თარგმანიტში შემოუერთდით დიდ ოჯახს — ანა ფრანკის ოჯახს“.

მე მიხარია, რომ დღეს მთელ მსოფლიოში გაფანტულ ანა ფრანკის ოჯახს შემოუერთდა აქ მყოფი ძვირფასი საზოგადოება, ჩვენი ახალგაზრდა მხატვრები და ჩვენი ახალგაზრდა სტუდენტები. მათ გამოიჩინეს დიდი ინტერესი ამ ნაწარმოების მიმართ, ტაციანობაც კი იყო წიგნებზე და მე ვხედავ, რა სიყვარულით მუშაობდნენ ბავშვები. რა სიყვარულით შექმნა ერვანდ მურადიანმა ანა ფრანკისადმი მიძღვნილი პლაკატი, რა სიყვარულით შექმნა ქანდაკება, რა სიყვარულით შექმნა თითოეული ილუსტრაცია და, რა თქმა უნდა, ბატონ გურამ გიგაურს ანა ფრანკისადმი მიძღვნილი

მედალი, რომელიც შარშან მარკ შაგალის საიუბილეო მედალის ავტორი იყო. ასე რომ, ძალიან ვამაყობ ჩემი სტუდენტებით, სამხატვრო აკადემიით და ყველას, ვინც ამაში მიიღო მონაწილეობა. გრიგორი ბროდსკიმ 147-ე საჯარო სკოლის მოსწავლეს ჯემალ ელიაშას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საპატრიარქოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ბავშვების თემები მშვიდობაზე“ და დანერა ებრაელთა გენოციდის შესახებ, სადაც გაიმარჯვა. გადასცა ინგლისურ ენაზე, ისრაელში გამოცემული „ანა ფრანკის დღიური“.

გამოფენის მონაწილეებს გადაეცათ ნამახალისებელი ჯილდოები, გამოფენაში მონაწილეობის დოკუმენტები, გ. გიგაურის მიერ შექმნილი ანა ფრანკისადმი მიძღვნილი მედალები, გამოფენის კატალოგი და „სოხნუთში“ მომუშავე, ან გარდაცვლილი მიხეილ კრიხელის შესანიშნავი წიგნი. ამ პრიზებით დაჯილდოვდნენ: დარია ავსაჯანიშვილი, ია ბახტაძე, ეკა ბულაშვილი, ნინო კობაიძე, ელენე შატერაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ანა ჩუბინიძე, ბარბარე მაჭავარიანი, ერვანდ მურადიანი, გურამ გიგაური, სოფიო ელიაშვილი და გამოფენაში გამარჯვებული ანა ფრანკის ფიგურის შემქმნელი ბექა თაბუკაშვილი.

გრიგორი ბროდსკიმ აგრეთვე ანა ფრანკის მედალი გადასცა ქ-ნ სანდრა რულოვსს და მიულოცა მას გასული დაბადების დღე. აგრეთვე გადასცა იერუსალიმიდან ჩამოტანილი ხანუქა და ქართულ-ებრაული კალენდარი:

## სანდრა რულოვსი:

— პირველ რიგში, მინდა მოგილოცოთ ხანუქის დღესასწაული და გისურვოთ ბედნიერება. მე დავათვალიერე ეხლა მედალი და გამოდის, რომ მომავალ წელს ანა ფრანკი გახდებოდა 80 წლის. ვიმედოვნებ, რომ პოლანდიაში აუცილებლად აღნიშნავენ ამ თარიღს. ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი გამოფენით და 2009 წელს დახმარებას გავეწევე სოფიო ელიაშვილს ანა ფრანკისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემაში.

საღამო დასრულდა „სავივონის“ ბზრით, ტრადიციული ტკბილეულის მირთმევით და ბავშვების სიმღერით.

# ხანუქა თითქმის სულში

პრეზიდენტმა ბუშმა ხანუქის დღესასწაულსადმი მიძღვნილ ლონისძიებაზე ჰარის ტრუმენის ღვაწლი გაიხსენა.

ბუშის მიერ 15 დეკემბერს, უკანასკნელად მოწეული ხანუქის ცერემონიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო იმ ხანუქის ანთება, რომელიც 1951 წელს ისრაელის პირველმა პრემიერ-მინისტრმა დავით ბენ-გურიონმა ტრუმენს აჩუქა, იმის ნიშნად, რომ ამერიკის იმჟამინდელი პრეზიდენტი იყო პირველი მსოფლიო ლიდერი, რომელმაც ისრაელის სახელმწიფოებრიობა აღიარა.

საჩუქრის მიღებიდან 10 წლის შემდეგ პრეზიდენტი ტრუმენი ისრაელში ეწვია პრემიერ-მინისტრ ბენ-გურიონს, — აღნიშნა ბუშმა ვლიერ ამ ორი ლიდერის შვილიშვილები: კლიტორ ტრუმენ-დან-იელი და იარაგ ბენ-ელიაზერი ხანუქის სანთლებს ასანთებდნენ. განხორებისას ბენ-გურიონმა ტრუმენს უთხრა, რომ მას, როგორც არამერიკელს, არ შეუძლია განსაზღვროს პრეზიდენტი ტრუმენის ღვაწლი ამერიკის ისტორიაში, მაგრამ მისმა ვაჟკაცურმა გადაწყვეტილებამ, ელიარებისა ისრაელის ახალი სახელმწიფო, განაპირობა მისი უკვდავება ისრაელის ისტორიაში.

ბუში ადრე საკუთარ თავს ადარებდა ტრუმენს, რომელმაც პრეზიდენტის პოსტი პოპულარობის ძალიან დაბალი რეიტინგით დატოვა, მოგვიანებით კი ისრაელის აღიარებისა და ცივი ომის კონტრატეული წარმართვისთვის, აღიარებულ იქნა დიდებული პრეზიდენტად. აქედან გამომდინარე, ბუში თვლის, რომ ისტორია გაამართლებს ერაციის არაპოპულარულ ომს.

პრეზიდენტმა ხანუქის დღესასწაულზე ისაუბრა ერაცსა და ავღანეთში მოულოდნელი ვიზიტების თაობაზე.

მიღებას ესწრებოდნენ ადმინისტრაციის ებრაელი მუშაკები, პრეზიდენტის ერთგული ებრაელი რესპუბლიკელები, მათ შორის კახინოს მფლობელი და რესპუბლიკური პარტიის და ებრაული პროექტების დიდი დონორი შელდინ ადელსონი.

ბუში განსაკუთრებით მიესალმა კონექტიკუტის დამოუკიდებელ სენატორს ჯო ლიბერმანს, რომელიც უწინ დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, მაგრამ, რიგ მიზეზთა გამო, დატოვა იგი. მათ შორის იმიტომ, რომ მხარს უჭერდა ერაციის ომს.

# ღ-რ ღაკით შიმშილაშვილის ინტერვიუ ლელა წიხუაშვილთან

— ქალბატონო ლელა, პირველ რიგში, მინდა გულანდილა გითხრათ, რომ თქვენ შეძელით ჩემი სასიამოვნოდ გაკვირვება. იმის შემდეგ, რაც ჩემი ცხოვრების მანძილზე მრავალ საინტერესო და ნიჭიერ ადამიანს შევხვედრე, არაერთხელ მივიქირა, რომ ჩემს ასაკში უკვე შეუძლებელი იქნება ჩემი გაკვირვება ახალი ადამიანების გაცნობით, ახალი აღმოჩენით... და აი, 30 წლის წინათ მშობელ ქვეყანაში — ისრაელში დაბრუნებული, პირველად ჩამოვედი საქართველოში, დავათვალიერე თქვენს მიერ მონყობილი გამოფენა, რომელიც ასახავს საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა სულიერ და კულტურულ მემკვიდრეობას, შეგხვდით და გესაუბრეთ თქვენ. ვიდეტი თქვენს წინაშე გაოცებული თქვენი განათლებით, თქვენი გონიერებით, იმ დიდი სიყვარულით, რომელიც თქვენ გიყვართ ჩვენი ხალხი, თქვენი უსაზღვრო სიყვარულით თქვენი საქმისადმი, ყოველი ხალხის ცხოვრებაში სამუშეოო ცხოვრების მნიშვნელობის თქვენული ხედვით და გაოცებულმა თქვენთან შეხვედრით მე ვუთხარი ჩემს თავს: სანამ ცოცხალი ხარ, არა გაქვს უფლება იფიქრო — აი, ეს არის დასასრული!

თქვენ ქართველი ებრაელობისათვის არცთუ ისე ჩვეული ბიოგრაფიის პიროვნება ხართ. ჩვენი თაობის ქართველი ებრაელი ინტელიგენციის უმრავლესობის ბებია-ბაბუები, ხშირ შემთხვევაში მშობლებიც კი, ყოველგვარ განათლებას იყენებდნენ მოკლებულნი...

თქვენი ბაბუა, ვანო წინუაშვილი, საქართველოს განათლების სამინისტროს დამსახურებული მუშაკი იყო, მამა იური წინუაშვილი — კინორეჟისორი, ჯერ „კიევი-ნაუზნილინი“, შემდეგ კი თბილისის სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიაში მუშაობდა, დედათქვენი, მადეა ჯანაშვილი, — პროფესიით გერმანისტი, წერს ლექსებს, ამ ბოლო ხანებში საკუთარი ლექსების კრებულზეც კი გამოსცა!

**რას ფიქრობთ, ასეთ ოჯახში დაბადებამ განსაზღვრა თუ არა თქვენი ცხოვრების გზა და მოახდინა თუ არა გადამწყვეტი გავლენა თქვენი პიროვნების ჩამოყალიბებაზე?**

ლელა წიხუაშვილი: — რა თქმა უნდა, განსაზღვრა. საერთოდ ალბათ, ნებისმიერი ოჯახი დიდ გავლენას ახდენს შვილის ჩამოყალიბებაზე. ჩემი შემთხვევაში კი ოჯახმა უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემი პიროვნების ფორმირებაზე. მე ისეთ ოჯახში ვიზრდებოდი, სადაც განათლებას დიდი ყურადღება ექცეოდა, სადაც იცოდნენ ნიგნის ფასი და ბავშვობიდანვე კითხვა შემეყვარეს. ჩვენ ოჯახური კითხვის ტრადიციაც კი გვქონდა, საღამოობით რაიმე საინტერესო ნიგნს ოჯახურ გარემოში ხმამაღლა ვკითხულობდით. საოცარი სითბოთი მახსენდება ის დრო... საერთოდ მიმაჩნია, ძალიან გამიმართლა ასეთ ოჯახში რომ დავიბადე, მშობლებს ხომ, მეგობრებისგან განსხვავებით, არ ირჩევენ! ჩვენს ოჯახში ყოველთვის განსაკუთრებული აუროს სუფევდა, ძალზე საინტერესო, შემოქმედებითი, არაჩვეულებრივი ადამიანებითა და საუბრებით. ... მშობლები ყოველთვის განსაკუთრებულ ლიტერატურას კითხულობდნენ და მათი ინტერესები მე და ჩემმა ძმამაც გავითავისეთ. მამის პროფესია ჩვენთვის განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო, კინოსტუდიაში სტუმრობა კი დაუფიქრებელი იდუმალეობით მოცულ მოგონებად რჩება.

— გარდა ოჯახური წარმოშობისა, თქვენ პიროვნული ცხოვრების გზაც განსაკუთრებული გქონდათ. მიღებული ნორმის მიუხედავად, თქვენ „ეკიბის“ ჩვენს თემში ასე პოპულარული სპეციალობის ნაცვლად, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობას ირჩევთ და სწავლას სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში აგრძელებთ. რა მოგვითხრობთ ერმიტაჟის ქალაქში, რუსეთის კულტურისა და ხელოვნების დედაქალაქში

გატარებულმა წლებმა. თქვენი აზრით, რა გავლენა მოახდინა თქვენს პროფესიულ პროფილზე წვეის ქალაქში გატარებულმა წლებმა?

— დიას, მე ალბათ, მართლა სრულიად განსხვავებული და ებრაელი გოგონასათვის „არაპრესტიჟული“ და არაპოპულარული სპეციალობა ავირჩიე. რამ განაპირობა ჩემი არჩევანი? ალბათ, ისევე და ისევე ჩემმა



სწავლამ, მშობლების ინტერესებმა და გაცეცხვებმა, ხელოვნება ხომ უცხო არ იყო ჩემთვის, მამის პროფესიის გარდა, დედამაც დიდი წვლილი შეიტანა ჩემს არჩევანში, მას ძალიან უყვარდა ხელოვნება და სულ პატარაობიდან მაზიარა ამ საოცარ სამყაროს. ჩემი თანატოლებისაგან განსხვავებით, საკმაოდ ადრეულ ასაკში და მტკიცედ გადავწყვიტე, რა პროფესია უნდა ამერჩია და მშობლებმა ყველანაირად შემინყეს ხელი ჩემი ოცნების განხორციელებაში. ოცნება კი — იმ დღიდან, რაც 13 წლის ასაკში პირველად მოვხვდი პეტერბურგში და განსაკუთრებით სამხატვრო აკადემიაში, იქ სწავლის გაგრძელება იყო.

ალბათ, დამეთანხმებით, პეტერბურგი მსოფლიოს ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქია, თავისი კულტურული ტრადიციებით, მრავალრიცხოვანი მუზეუმებითა და საოცარი სასახლეებით. როდესაც ხელოვნებათმცოდნის პროფესიას ასეთ ქალაქში ეუფლება, ეს უდიდესი ბედნიერებაა. პრაქტიკები ერმიტაჟსა და რუსულ მუზეუმში გვქონდა, ხოლო არქიტექტურის ისტორიას პირდაპირ ქალაქში ვსწავლობდით. ერმიტაჟს კი განსაკუთრებული, მაგნიტური მიზიდულობის ძალა გააჩნია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასე იყო. როდესაც მის საოცარ დარბაზებში დავხვდი მსოფლიოს ერთ-ერთი უმშვენიერესი შენობების ალქიმი და ტყვევებული, დროის შეგრძნება სრულიად შეკრებოდა, და, როგორც ნესი, მუზეუმის დახურვისას ზედამხედველებთან ერთად გამოვდიოდი, აკადემიაში ჩემი სწავლის პერიოდში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყვნენ ნამდვილი ძველი პეტერბურგის ინტელიგენციის წარმომადგენლები (აკადემიის ამ პროფესორთა უმეტესობა ებრაელები იყვნენ). შეუძლებელი იყო ამას გავლენა არ მოეხდინა ჩემს პროფესიულ ჩამოყალიბებაზე.

გარდა ამისა, პეტერბურგში ჩქეფდა კულტურული ცხოვრება და ჩემი გემოვნება საუკეთესო თეატრალური, საოპერო,

საბალეტო დადგმებისა და კლასიკური მუსიკის კონცერტების მდიდარ რეპერტუარზე ყალიბდებოდა. იქ მიღებული პროფესიონალიზმის საფუძვლები, ცოდნა, გამოცდილება თუ ესთეტიური სიამოვნება დღემდე მასაზრდოებს...

— როგორ აეწყო თქვენი პროფესიული გზა თბილისში დაბრუნების შემდეგ. რამდენად აც ჩემთვისაა ცნობილი, არც თბილისის მუზეუმშია სავესებით ჩვეულებრივი მოვლენა „ქართველი ებრაელი“ თანამშრომელი.

— მართალი ბრძანდებით, ქართველ ებრაელთა შორის ალბათ, დღესაც არცთუ ისე ბევრი ხელოვნებათმცოდნეა. ჩემთვის კი მუზეუმში ძალიან ბევრს ნიშნავს, მასთან ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილია დაკავშირებული. ჯერ კიდევ მეექვსე კლასიდან ამ მუზეუმში ხელოვნების მოყვარულთა კლუბის აქტიური წევრი ვიყავი. ხოლო, როდესაც ქალბატონი ნონა ელიზბარაშვილის ხელმძღვანელობით შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა ხელოვნების ნაწარმოებთა ტექნოლოგიური კვლევის განყოფილება (ექსპერტიზა-ატრიბუცია), მან თავისთან მიმიწვია სამუშაოდ. სწორედ მისი წყალობით აქ საბოლოოდ მოხდა ჩემი პროფესიული ჩამოყალიბება. ხოლო განვითარება და დახვეწა დღესაც გრძელდება და ალბათ, ვიდრე ვიმუშავებ, არც დასრულდება. ქალბატონი ნონა ჩემთვის დღესაც დიდი ავტორიტეტია, მისგან ბევრი რამ ვისწავლე ყოველთვის სასიამოვნოა, როდესაც თავის საქმეზე შეყვარებულ ადამიანთან ვაქვს ურთიერთობა!

— დღეს თქვენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენების კურატორი ბრძანდებით. 2008 წლის მაისში გახსნილი ქართველი ებრაელობის კულტურისა და მათი ისტორიული ყოფის ამსახველი გამოფენა თქვენი პირველი გამოფენა არაა. გთხოვთ გვიამბოთ, როგორ მიხვდით ამ გამოფენამდე, როგორ გაგიჩნდათ მისი მოწყობის იდეა, გამოფენის შესახებ გამოცემულ კატალოგს მამის სსოგნას უძღვნით, ეს უბრალო, ფორმალური მიძღვენა, თუ მამამ განსაკუთრებული გავლენა იქონია თქვენს მიერ ამ გამოფენის პროექტზე მუშაობაში. ვის გამოყოფდით იმ ადამიანებიდან, რომლებიც განსაკუთრებული მონდომებით გედგნენ გვერდში გამოფენის მომზადების ძნელსა და დამქანცველ პერიოდში.

— დიას, ეს არ არის ჩემი პირველი გამოფენა, უკვე ორი წელია შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის გამოფენების კურატორი გახლავართ და ამ დროის განმავლობაში უკვე არაერთი საინტერესო გამოფენა მოვაწყეთ. როდესაც დამთვალელებელი მოდის გამოფენაზე, მისთვის ალბათ, ძნელი წარმოსადგენია ეს რამხელა ფიქრის, შრომისა და ნერვიულობის შედეგია. ამას კი თან სდევს სრულიად არანორმირებული სამუშაო დღე, უძილო ღამეები, განცდა, დაუქმყოფილებლობის შეგრძნება... ებრაულ თემიტიკაზე ეს ჩემი მეორე გამოფენაა. ებრაელი მხატვრის შალომ კობოშვილის გამოფენა 2006 წლის ივლისში გაიხსნა. მაშინ ეს იყო ჩემი საავტორო პირველი განხორციელებული პროექტი, მას აგრეთვე თან კატალოგის პუბლიკაცია ახლდა და სწორედ ამის შემდეგ შემეცვალა სტატუსი მუზეუმში და გამოფენების კურატორობა დამევა. მაგრამ ამას ყველაფერს წინ მრავალი წლის შრომა და იმედგაცრუება უძღოდა, თუმცა, თუ ადამიანს ყოფნის ნებისყოფა, რომ სირთულეებისა და ყოველგვარი დაბრკოლებების მიუხედავად, არ დაწვედეს და გააგრძელოს ბრძოლა თავისი იდეის განსახორციელებლად, მაშინ ოცნება აუცილებლად ახდება. ჩემს შემთხვევაში ორი წლის წინ სწორედ ასე მოხდა და ახლანდელი გამოფენა კი შინაარსობრივად მისი ლოგიკური გაგრძელებაა და ვფიქრობ, კიდევ უფრო საინტერესო, მნიშვნელოვანი და ვიზუალურად მრავალფეროვანია. აქ

ბევრად უფრო მეტი ექსპონატია წარმოდგენილი და არა მხოლოდ ფერწერა და გრაფიკა, არამედ ძველი ფოტოები, ჩაცმულობა, რელიგიური რიტუალური თუ ყოფითი დანიშნულების ნივთები, რომლებიც ასახავს ქართველ ებრაელთა ისტორიას და კულტურას. ეს პროექტი ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 60 წლისთავს მიეძღვნა და მისი განხორციელება ებრაული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის შედეგია (ებრაული სააგენტო ისრაელისთვის წარმომადგენლობა საქართველოში "სოხნუთი", ისრაელ-საქართველოს ბიზნეს პალატა, ისრაელის საელჩო საქართველოში და მასთან არსებული კულტურული ცენტრი). ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოში ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებები იმართებოდა. მე კი დიდი სურვილი მქონდა ამ დღეს საზოგადოებას ეხებოდა თუნდაც ის მცირედები, რითაც ებრაელთა ერთ-ერთი უძველესი დიასპორა სულდგმულობდა.

კატალოგის მამის სსოგნისადმი მიძღვნა, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი. მამამ დიდი გავლენა იქონია არა უშუალოდ ამ პროექტზე მუშაობისას (ამ დროს იგი უკვე ავად იყო), არამედ მრავალი წლის წინათ ჩემი იუდაიზმით დაინტერესებაზე. მამა ძალიან შეჭბაროდა და აფასებდა თითოეულ ჩემს წარმატებას, განსაკუთრებით კი — რაც ებრაულ თემტიკას ეხებოდა. თქვენ უკვე აღნიშნეთ, რომ მამა კინორეჟისორ-დოკუმენტალისტი იყო და ის ოცნებობდა ქართველ-ებრაელთა ისტორიაზე და კულტურაზე ჩემთან ერთად ფილმი გადაეღო. სამწუხაროდ, მისი ოცნება განუხორციელებელი დარჩა... ორი წლის წინ მამაჩემის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მან ხელში შალომ კობოშვილის გამოფენისადმი მიძღვნილი ჩემს მიერ გამოცემული კატალოგი აიღო. უზომოდ გახარებული იყო ახალ პროექტზე რომ დავიწყებ მუშაობა, მაგრამ მეორე კატალოგის ნახვა საუბედუროდ, არ დასცალდა. ბოლო თვეები მამა მიმიღებ ავად იყო და გამოფენის გახსნამდე ათი დღით ადრე გარდაიცვალა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ალბათ, ყველაზე მძიმე პერიოდი. ასეთ დროს ზედმინეწვით აფასებ კოლეგების თანადგომასა და მხარდაჭერას, განსაკუთრებით, მინდა აღვნიშნო საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პროფესორ დავით ლორთქიფანიძის წვლილი ორივე გამოფენის ორგანიზებაში. ორი წლის წინ, მისი დაინტერესებისა და მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა შალომ კობოშვილის გამოფენის პროექტის რეალიზება, წლები მანძილზე ჩემი იდეა მხოლოდ ოცნებად რჩებოდა, რეალურად კი, მხოლოდ ბატონმა დავითმა აღმომიჩინა ნდობა და ყოველ მხრივ მხარს მიჭერდა. იმედი მაქვს, ორივე პროექტმა ნამდვილად გაამართლა. ვერ წარმოიდგენთ როდენ მნიშვნელოვანია, როდესაც მთელი გულით მუშაობ და არა ერთი წელი, როდესაც ეს თემა არა მხოლოდ ფორმალური მოვალეობაა, არამედ შენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება და მის განხორციელებას განდობს ისეთი არაჩვეულებრივი პროფესიონალი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი და უაღრესად პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება, როგორც ბატონი დავით ლორთქიფანიძე ბრძანდება.

— თქვენს გამოფენაზე, განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი ქართველი ებრაელი პრიმიტივისტი მხატვრის შალომ კობოშვილის ნამუშევრები. 2006 წელს ამ მხატვრის დაბადებიდან 130 წელთან დაკავშირებით ქარვასლაში მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო. გთხოვთ უფრო დანერგვით გვიამბოთ ამ მხატვრის ცხოვრებისა და მისი შემოქმედების თემატიკის შესახებ.

— დიას, მე უკვე ვახსენე შალომ კობოშვილი და 1995 წლიდან სწორედ მისი შემოქმედებით დაინტერესებამ მიიჩვენა ამჟამინდელ გამოფენამდეც. მე ვმუშაობდი საკვალიფიკაციო თემაზე, მქონდა საკმაოდ მდიდარი და საინტერესო მასალა

საქართველოში მოღვაწე გერმანელ მხატვრებზე და ალბათ დიდი ხნის წინათ წარმატებითა და დავით დისერტაციას ამ თემზე, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მე ვუთხარი საკუთარ თავს, ამ თემს უჩემოდაც მოვევლება, მაგრამ ებრაულ მხატვრობას — არა...

შალომ კობოშვილის პიროვნება, მართლაც უნიკალურია. ბავშვობაში ხატვით გატაცებულს, მშობლებმა რელიგიური თვალსაზრისით მხატვრობის შესწავლა აუკრძალეს. მძიმე, დუსტრიული ცხოვრების მიწურულს კი შალომმა 61 წლის ასაკში საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დარაჯად დაიწყო მუშაობა. ეს 1936 წელი იყო და მუზეუმის ხელმძღვანელობის მიერ მიწვეული ქართველი მხატვრები ემზადებოდნენ ებრაულ თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრების პირველი გამოფენისათვის. მათმა შემხედვარემ შალომმა ბავშვობის ოცნება აიხსინა და დაიწყო ხატვა, ჯერ გაუბედავად, ფანქრებით, შემდეგ კი ალბათ, შედეგით თვითონვე გაოცებულმა, ხატვა უკვე აკვარელით, გაუმთბარ და ზეთის საღებავებითაც განაგრძო. სამი წლის მანძილზე (გარდაცვალებამდე) შექმნილ არაჩვეულებრივ ნამუშევრებში მან ასახა ახალი ებრაელთა სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ტრადიციები, საქმიანობა, ყოველდღიური ცხოვრება, რელიგიური დღესასწაულები, რიტუალები. მისი ნამუშევრები გარკვეულ თემატიკულ ციკლებად შეიძლება გაერთიანდეს. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საქორწინო ციკლია, ძალზედ დამახასიათებელი რიტუალური სცენებითა თუ ჩაცმულობით. მას აგრეთვე აქვს რელიგიური დღესასწაულების, სინაგოგის სცენების, საცეკვაო, ვაჭრობისა და ყოფითი ციკლები.

— გამოფენის კატალოგის შესავალში თქვენ წერთ: „იმ ასიმილაციის მიუხედავად, რომელიც ახლავს (ებრაელთა) დიასპორაში ცხოვრებას, ქართველმა ებრაელებმა საუკუნეების მანძილზე სათუთად ატარეს და დღემდე შემონახეს თავიანთი რელიგია და ზნე-ჩვეულებანი. ისინი მტკიცედ იცავენ მოსეს მცნებებს...“ როდის დაიწყო თქვენი დაინტერესება „ებრაელთა თემით“ თქვენი ცხოვრების წლებში მოხდა ქართველ-ებრაელთა 2600 წლიანი ისტორიის ყველაზე დიდი მოვლენა: მათი დაბრუნება მამა-პაპათა ისტორიულ სამშობლოში... რას ფიქრობთ თქვენ ამ მოვლენის შესახებ და საერთოდ რას ფიქრობთ ებრაელთა მომავალზე?

— „ებრაელთა თემით“ ჩემი ზოგადად დაინტერესება ალბათ, ბავშვობიდან დაიწყო. პატარაობისას მე ვიზრდებოდი დედაჩემის მშობლებთან, სადაც დედას ბებია

მიყვებოდა საინტერესო მოთხრობებს. უკვე მოზრდილ ასაკში გავაცნობიერე, რომ ყველაზე ხშირად დიდი ბებია თორაში მოთხრობილ ამბებს მიყვებოდა. საოცარი ადამიანი ბრძანდებოდა, ყოველგვარი კლასიკური განათლების გარეშე ძალიან ნაკითხი და გონიერი და თავისი ერის უდიდესი პატრიოტი. შემდეგ კი უკვე სკოლის ასაკში მშობლების ინტერესებმა ჩემშიც გააღვივა განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩემი ერის ისტორიისა და კულტურის მიმართ. ტრადიციული ოჯახის გარდა, მე თანდათან ვაცნობიერებდი, თუ რას ნიშნავს იყო ებრაელი. ხოლო შემდეგ, უკვე მოგახსენეთ, თუ როგორ გახდა ეს თემა ჩემი ცხოვრების ორგანული ნაწილი.

რაც შეეხება თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილს, აქ ისევ ჩემი დიდი ბებია მინდა გავიხსენო, რომელიც ღრმად მორწმუნე ადამიანი ბრძანდებოდა და უდიდესი პატრიოტი. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ოცნებობდა „დამადალიანებელიყო იერუსალიმის მიწაზე მოხვედრით“ და ამის ღრმა რწმუნავე გააჩნდა, ამიტომ პირველივე „ალიისას“, ხანდაზმულობის მიუხედავად, 86 წლის ასაკში მან მტკიცედ გადაწყვიტა და გაემგზავრა კიდევ თავის ქალიშვილთან და გაუთან ერთად ასე საოცნებო და ნანატრი ისტორიულ სამშობლოში ერთადერთი მიზნით. ენახა მამა-პაპათა მიწა. ისრაელში ბებია მკიდევ რამდენიმე წელიწადი იცოცხლა და ალბათ, ყველაზე ბედნიერი და კმაყოფილი წავიდა ამ ქვეყნიდან...

— თქვენი მეუღლე თბილისში მეტად სახელგანთქმული ექიმი-გინეკოლოგია (სახუარია ექიმ დავით დავარაშვილზე), ამასთან თქვენ სამი შვილის დედაც ბრძანდებით. როგორ ახერხებთ, შეათავსოთ ერთმანეთს დიასახლისის, მეუღლის, დედის როლი თქვენს პროფესიულ თვითგამოხატულებასთან. ეს ალბათ, არც თუ იოლი საქმეა?!

— ამ განსხვავებული როლების ერთმანეთთან შეთავსება მართლა არ არის იოლი საქმე, მით უმეტეს, რომ მე ნატურით მაქსიმალისტი ვარ და ზერელედ არაფრის კეთება არ მიყვარს. დაკავებულიობის მიუხედავად, დათო აქტიურად მონაწილეობს ბავშვების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში. რა თქმა უნდა, ბავშვებთან მე უფრო მეტ დროს ვატარებ. უფროსი ვაჟი 19 წლისაა, ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია, სერიოზულად გატაცებულია ფოტოგრაფიით, გოგონა 16 წლისაა, მე-11 კლასის მოსწავლეა, ხოლო უმცროსი ვაჟი კი 8 წლის. თითოეულ მათგანს თავისებური მიდგომა და ყურადღება სჭირდება. კარგი ბავშვები არიან. გონიერი, თბილი, მათთან ძალიან

მეგობრული დამოკიდებულება მაქვს და ეს ალბათ, მიადვილებს საერთო ენის გამოხატვას და ურთიერთობას. რაც მთავარია, ოჯახში ყველა პატივს ვცემთ ერთმანეთის საქმეს და ვცდილობთ ხელი შევუწყოთ ერთმანეთს. ყოველგვარ ოჯახურ საქმიანობას შემოქმედებითად ვუდგები, განსაკუთრებით კი კულინარიას. დიდი ტვირთია, რთულია, მაგრამ ნამდვილად ვახერხებ ყველაფრის მოსწრებას და ერთმანეთთან შეთავსებას. როდესაც ვამთავრებ ოჯახის საქმეს და პატარასთან გაკვირვების მომზადებას, გვიან ღამე, უკვე კომპიუტერთან ჩემს საქმეს ვაგრძელებ. ცოტა მძინავს და დღისითაც ყველაფერი დაგემილი მაქვს, მაგრამ თვითგამოხატულების შესაძლებლობა იმდენად სულღვასოვანი ცხოვრების შეგრძობას მანიჭებს, რომ ასეთი ცხოვრების რითში ჩემთვის სავსებით ჩვეულებრივი და მისაღებია.

— ჩანს ჩვენი საუკუნე გახდება ქართველ ებრაელთა საქართველოში ცხოვრების საუკუნე. დღეს თბილისში, ერთ დროს ასე მრავალრიცხოვანი ებრაული ცხოვრების მცხოვრები ათეულ-ათასობით ქართველ ებრაელთა დიდი ჯამაათიდან, სულ რამდენიმე ათასი ებრაელია დარჩა. და თქვენ თქვენს შვილებს ასეთ ვითარებაში ზრდით. ფიქრობთ თუ არა შეძლებთ მათ ებრაელებად ჩამოყალიბებას? როგორ გეახებოდათ მათი მომავალი?

— მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში მართლა არცთუ ისე მრავალრიცხოვანია ებრაული თემი, დიდი იმედი მაქვს, რომ მაინც მოვახერხებ ჩვენი შვილები ნამდვილ ებრაელებად ჩამოყალიბდნენ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვზრდით მათ, ებრაულ ტრადიციებზე. ბავშვები აქტიურად მონაწილეობენ ებრაული ორგანიზაციების ახალგაზრდულ პროგრამებში, ღონისძიებებში, სწავლობენ ივრით. იმედი მაქვს, ისინი ებრაელი ერის ღირსეული წარმომადგენლები იქნებიან.

— თქვენი გამოფენის კატალოგის შესავალში დიდი პატივისცემით წერთ საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (1933-51) შექმნისა და მისი საქმიანობის შესახებ. ქართველ ებრაელთა ისტორიაში ყველაზე დიდი მოვლენა — ისრაელის ქვეყანაში მათ დაბრუნებას უსათუოდ მოჰყვება შედეგად მათი ცხოვრების ნირის შეცვლა და მათი გაისრაელება. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს: „იმისთვის, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ იცოდეს თუ როგორი გემოვნითა და თავდადებით შეძლეს მათმა წინაპრებმა შეენარჩუნებინათ თავიანთი ეროვნული სახე გალუთში ცხოვრების პირობებში, ისრაელში დაბრუნებულ ქართველ

ველ ებრაელთა ამ თაობის მოვალეობაა იზრუნოს, შექმნას ჩვენი თემის ცხოვრებისა და მისი კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მუზეუმი ისრაელის ქვეყანაში“. რას იტყვით თქვენ ამ საკითხის გარშემო?

— ებრაელი ერის ერთ-ერთ ფენომენად სწორედ მათ მიერ დიასპორაში ცხოვრებისას ეროვნულობის შენარჩუნება მიმაჩნია. ეს ხომ საოცრებებია, მრავალი საუკუნის მანძილზე არ დაკარგო არა მხოლოდ რელიგია, ტრადიციები, კულტურა, გენოტიპიც კი... საქართველოში კი ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია. ვფიქრობ, ასეთი მუზეუმის შექმნას ისრაელში ქართველ ებრაელთა თემისათვის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ექნება.

— და ბოლოს, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვა: ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ინიციატივით ამ ბოლო ხანს მეტად ინტენსიურად განიხილება ჩემი აზრით, ნამდვილად საშვილიშვილო საქმე — საქართველოში დარჩენილი ჩვენი წინაპრების საფლავების და ერთ დროს ასე დიდებული ქართველ ებრაელთა სალოცავების მოვლა-შენახვის საკითხი. თქვენ, როგორც ებრაელი ქალი, რომლისთვისაც ასე ძვირფასია ქართველ ებრაელთა წარსული ყოფის კულტურული მემკვიდრეობა, რას იტყვით ამ საყურადღებო წამოწყებაზე?

— თქვენ ზუსტი შესატყვისი მოუძებნეთ — ეს, მართლაც რომ საშვილიშვილო საქმეა. წარსულის გაფრთხილებისა და პატივისცემის გარეშე, მომავალიც წარმოუდგენელია. მე კი, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, დავამატებ, რომ საფლავების მოვლას არა მხოლოდ წინაპართა პატივისცემის, არამედ ქართველ ებრაელთა უძველესი დიასპორის ისტორიული წარსულის შესწავლის დატვირთვაც ენიჭება. დღეს, როდესაც საქართველოში ასე შემცირდა ებრაული თემი, როდესაც ზოგიერთი გვარის წარმომადგენლები აღარც კი დარჩნენ, საფლავების, ისევე, როგორც სინაგოგების, გაფრთხილებას, ჩემი აზრით, განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება. დაუშვებელია, საქართველოში ებრაული დიასპორის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კვალი დაიკარგოს. თბილისის ეს პრობლემა ნაკლებად ეხება, ხოლო პროვინციაში, სადაც თითქმის აღარ დარჩა ებრაული მოსახლეობა, სინაგოგებისა და საფლავების მოვლა-შენახვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს ხომ ერის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების აუცილებელი საწინდარია.

*საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ორგანო „მაცნე“ №46, ნოემბერი*



2008 წლის 8-10 დეკემბერს ყაზანში გაიმართა ევრაზიის ებრაელობის ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება ევრო-აზიური ებრაული კონგრესის გენერალური საბჭოს სესია (ეაეკ). სესიაზე თავი მოიყარეს დსთ-ს ქვეყნების, იაპონიის, მონღოლეთის, ბულგარეთის და საქართველოს ებრაელთა ლიდერებმა; ებრაული ეროვნულ-კულტურული ფედერალური ავტონომიის III საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია (ეეკვა), რომელსაც 38 რეგიონალური და ადგილობრივი ებრაული ეროვნულ-კულტურული ავტონომიის წარმომადგენელი დაესწრო.

ეაეკ-ის გენსაბჭოს და ეეკვა-ს კონფერენციის მუშაობისთვის გათვალისწინებულ იქნა ერთობლივი სესია, რომელზეც მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ თათრეთის რესპუბლიკის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი ბორის პავლოვი, სახელმწიფო დუმის დეპუტატი გულნარა სერგაევა, თათრეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე შამილ აგევი, „OPT - Россия“-ს და ებრაული სააგენტოს წარმომადგენლები. სესიისადმი მისასალმებელი წერილებით მხარდაჭერა გამოხატეს რეგიონალური განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ტრავნიკოვმა, ვოლგისპირეთის ფედერალური ოლქის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გრიგორი რაპოტამ და რუსეთის მთავარმა რაზინმა ადლფ შაევიჩმა, რუსეთის ერთა ასამბლეის საბჭოს თავმჯდომარე რამაზან აბდულატაიპოვმა. აგრეთვე შედგა ეაეკ-ის ხელმძღვანელთა და თათრეთის სახელმწიფოს

## ეაეკ-ის ებრაული კონგრესი გააფრთხილეს

საბჭოს თავმჯდომარის ფარიდო მუხამედშინის შეხვედრა.

ეაეკ-ის ლიდერებმა თავიანთ გამოსვლებში შეაჯამეს 2008 წლის შედეგები: მიხეილ



ჩლენოვმა წარმოადგინა კონგრესის პოლიტიკური საქმიანობის ანგარიში, იოსებ ზისელსმა დამსწრეთ გააცნო კონგრესის პროგრამული ანგარიში, ეაეკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა იური რასკინმა განიხილა პროექტ „განვითარების“ განხორციელების მსგელობა. ეეკვა-ს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე მაშკევიჩმა კონფერენციაზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ ეროვნულ-კულტურული ავტონომია ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც აქვს კანონიერი უფლება წარმოადგინოს ებრაული ერი ყველა სახელმწიფო

ორგანოში და კონფერენციის მონაწილეებს მოუწონდა მცდელობა არ დაეკლოთ, რათა ეეკვა გადაექციათ ძლიერ, მობილურ, პროფესიულ და ეფექტურ ორგანიზაციად.

ეაეკ-ის გენსაბჭოს წევრთა შორის არც მნიშვნელოვან საკითხებზე გაიმართა დისკუსია, რომელიც ეძღვნებოდა ებრაული სათვისტომოების მდგომარეობას გლობალური კრიზისის ფონზე, ანტისემიტიზმს, ქსენოფობიას და ძალადობას, ასევე ებრაული განათლების პრობლემებს პოსტსაბჭოთა სივრცეში.

მრგვალმა მაგიდად „რელიგიათშორისი დიალოგები — გზა შემყნარებლობისაკენ“ თავი მოუყარა მართლმადიდებელ, კათოლიკე და ებრაელ ღვთისმსახურებს. ეაეკ-ის გენსაბჭოს სესიის მონაწილეებმა მოუსმინეს ებრაული საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა „ლიმუდის“ ხელმძღვანელს ხაიმ ჩესლერს. აღნიშნული პროგრამა რუსულენოვანთათვისაა განკუთვნილი. ხ. ჩესლერმა აგრეთვე წარმოადგინა ფილმი პირველ „ლიმუდზე“ ისრაელში. თავის გამოსვლაში ა. მაშკევიჩმა გამოსთქვა სურვილი კვლავაც მხარი დაუჭიროს ამ საერთაშორისო პროგრამას და აღნიშნა ხ. ჩესლერისა და მისი რუსი კოლეგის — პროფესორ მ. ჩლენოვის უდიდესი პირადი ღვაწლი ამ საქმეში. სესიაზე შედგა პრეზენტაცია ფილმისა „ბრძოლით მოიპოვე მენს უფლებებს“, რომელიც მისმა ავტორმა

— იოსებ ბეგუნმა წარმოადგინა. აღნიშნულმა პიროვნებამ სოონისტური მრწამსისა და იერიშის ფარული ფორმით სწავლებისათვის საბჭოთა ბანაკებში 14 წელი გაატარა.

თათრეთის ბიზნესმენებისა და ეაეკ-ის დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, აგრეთვე გაიმართა ბიზნეს-ფორუმი, რომელზეც განიხილულ იქნა ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი და მისი დაძლევის გზები.

ეეკვა-ს კონფერენციამ შეძლო თავისი უფლებამოსილების დამტკიცება და გადაულახავი წინააღმდეგობების დაძლევით მიაღწია ებრაულ ეროვნულ-კულტურული ავტონომიების შემჭიდროებას. სენსაციად იქცა ის ფაქტი, რომ რუსეთის ებრაული ორგანიზაციის თავმჯდომარედ, ორი ათეული წლის განმავლობაში პირველად არჩეულ იქნა არა მოსკოველი, არამედ რეგიონის წარმომადგენელი — კერძოდ, თათრეთის რესპუბლიკის ებრაული ეროვნულ-კულტურული ავტონომიის ლიდერი მიხეილ სკობლინო. კონფერენციამ ეეკვა-ს საბჭო და სარეგიონო კომისიაც აირჩია. ეეკვა-ს შემადგენლობა 14 წევრით დაკომპლექტდა, მათ შორის ამ ორგანიზაციის პრეზიდენტით. ეეკვა-ს პრეზიდენტისა და საბჭოს წარდგენით არჩეულ იქნა ორი თანასწორუფლებიანი ვიცე-პრეზიდენტი. რუსეთის „ვაადის“ პრეზიდენტი, პროფესორი მიხეილ ჩლენოვი და რუსეთის ებრაული სათვისტომოების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ვალერი ენგელსი.

ოფიციალური ღონისძიებები დასრულდა ებრაელ მემსრულებელთა საკონცერტო პროგრამით.

*ეაეკ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი*

# ზ ა ნ ა ჯ ა ნ ა ჯ ა ნ ა ჯ ა ნ ა ჯ ა ნ ა ჯ ა ნ ა

**მოლოდინი:**  
ხვალ მე ექვსი წელი შემისრულდება, უკვე დიდი ვიქნები, როგორც უფროსები. მალე სკოლაში წავალ. დედა, მამა, ბებო და ბაბუ მეუბნებიან, რომ ჭკვიანი და ზრდილობიანი უნდა ვიყო.

**მიამიტი რწმანა:**  
დღეს მე უკვე თორმეტი წლისა ვარ, ჭკვიანი და ზრდილობიანი, მაგრამ აღარ მინდა დიდი ვიყო. დიდებს ყველაფრის ეშინიათ და სულაც არ არიან ბედნიერი. ყველა ერთმანეთს წააგავს, ყველას ერთი საზრუნავი აქვს – საკუთარი თავი და საკუთარი ოჯახი. ვგრძნობ, რომ მე სულ სხვა რამისთვის ვარ გაჩენილი – გაცილებით ღრმა და ნათელისათვის, მე ყოველდღიურობაში არასოდეს ჩავეფლობი, აუცილებლად ბედნიერი ვიქნები...

**იმაღლაცრუება:**  
რა მალე გავიდა დრო, მე უკვე ოცდაათი წლისა ვარ. ჩემი ცხოვრება არის ჩემი მეუღლე, ბავშვები, სამსახური. ბევრს ვეშუაობ და დალოლი ვბრუნდები. არაფრის თავი აღარა მაქვს. შო, მართლა, ტელევიზორი! მას საბატიო, ცენტრალური ადგილი უჭირავს სალონში და საერთოდ, ჩემს ცხოვრებაში. მეგობრებს უკვე იმვითად ვხვდები.

ცხოვრება ჩვენზე ძლიერია. ყოველდღიურობა და ერთფეროვნება ახუნებს ჩვენი ბავშვობის ოცნებებს. მიუხედავად ამისა, ადამიანებმა შემოინახეს დღესასწაულები, ნაცრისფერ ყოველდღიურობაში გაფანტული განსაკუთრებული დღეები, რომლებიც მცირე ხნით მაინც გვაბრუნებენ ბავშვობაში, გვახსენებენ ოცნებებს, გვიბრუნებენ ნათელი მომავლის იმედს.

## დღესასწაული

ხანუქის საწინააღმდეგო ანთება სწორედ ამ სურვილს აღნიშნავს, სურვილს სულიერი სამყაროს გახსნისა, სინათლის დანახვისა. „სანთელი ადამიანის ცხოვრების და მისი სულის უმაღლესი შუქით განათების სიმბოლოა.“ (რაბი კუკი „ნერილები“)

ხანუქის ამბავი იწყება იმის აღწერით, რომ ებრაელ ხალხზე ბერძენები ბატონობდნენ. ეს არ იყო ჩვეულებრივი ბატონობა: ბერძენები ებრაელებს მატერიალური კონტროლის იარაღს იყენებდნენ. მათ სურდათ ებრაელთა შორის თავიანთი კულტურის, მრწამსის, ცხოვრების წესის დამკვიდრება. ამით ენადათ ებრაელთა „მე“-ს ნაშლა.

ამან ჩვენს წელთაღიგებებამდე 138 წელს (ხოლო ებრაული კალენდრით 3622 წელს) ბერძენთა წინააღმდეგ ებრაელთა აჯანყება გამოიწვია. ებრაელთა მცირე-რიცხოვანმა ჯარმა ხაშმონაელთა წინამძღოლობით აჯანყების გარკვეულ ეტაპზე ბერძენებზე გამარჯვება – ტაძრის განთავისუფლება შესძლო. როდესაც ტაძარში შესულია ებრაელებმა მისი განწმენდა განიზრახეს, მათ ამისათვის ზეთით სავსე მხოლოდ ერთი ჭურჭელი აღმოაჩინეს, ჭურჭელში ზეთი მხოლოდ ერთი დღისათვის იყო საკმარისი, ხოლო ტაძრის განსანმშენებლად გაცილებით მეტი დრო იყო საჭირო. გადმოცემით, ზეთის ეს ერთი სანთელი სასწაულებრივად ერთის ნაცვლად რვა დღის განმავლობაში იწვოდა – მანამ სანამ ზეთი არ მომზადდა.

## ბერძენები და ისრაელელები

კაბალისტები გვიამბობენ, რომ თორა და ებრაელთა სხვა წმინდა წიგნები ამ ერის უბრალო ისტორიული ქრონიკები როდია. ეს წიგნები დაწერილია განსაკუთრებული კაბალისტური ენით, რომლის მეშვეობითაც ჩვეულებრივი სიტყვებით ხდება იმ სულიერი პროცესების აღწერა, რომელიც თითოეულმა ჩვენთვის უნდა გავაჩინოთ თავისი ცხოვრების გზაზე.

ხანუქა ებრაული დღესასწაულია, ის იმ ზოგად პროცესებზე საუბრობს, რომლებიც თვით ადამიანში, მის გულში, მის სურვილებში ხდება. და ყველაფერი ეს თითოეულ ჩვენგანს ეხება. ამ დღესასწაულში „ბერძენები“ და „ებრაელები“ არა სხვადასხვა ეროვნების ხალხი, არამედ ადამიანში არსებული სხვადასხვა შინაგანი ძალებია.

ზოგჯერ ჩვენს ირგვლივ წყვედადი ისადაგურებს: წყვედადი შიშის, გადაუწყვეტილი პრობლემების, შეუსრულებელი სურვილების, აუხდენელი ოცნებების, უპასუხო კითხვების, მარტობის, განშორების, უმიზნობის, სიცარიელის. ამ წყვილად, რომელიც გვაიძულებს საკუთარ თავში ჩავიკეტოთ, ვიზრუნოთ მხოლოდ ამქვეყნიურ ყოველდღიურობაზე. ამ წყვედადს კაბალისტები სიმბოლურად „ბერძენებს“ უწოდებენ.

ზოგჯერ კი თითქოს გამოგვევიძება, გადავხედავთ ჩვენს ცხოვრებას და გვეჩვენება,

რომ ის გზა ჩვენს ნაცვლად ვილატ სხვამ განვლო. ამ განსაკუთრებულ ნამებში ჩვენში ისევ ილვინებს ის მიამიტი ბავშვი თავისი შეურყეველი რწმენით იმის რომ იგი ერთადერთი და განუყოფელია და რომ სულ სხვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რამისათვისაა გაჩენილი. მაგრამ რისთვის, რა არის ჩვენი დანიშნულება, ჩვენი ცხოვრების აზრი?... ამ ძალას, ამ სურვილს, რომელიც ჩვენში ილვინებს „ისრაელი“ ეწოდება.

გამოდის, რომ როდესაც კაბალისტები ბერძენებსა და ისრაელზე საუბრობენ, ისინი სულაც არ გულისხმობენ ერებს, არამედ იმ ორ ურთიერთსაპირისპირო ძალას, რომელიც თითოეულ ჩვენგანში არსებობს. „ბერძენები“ – საკუთარი თავისათვის სიამოვნების მიინჭების, საკუთარ თავზე ზრუნვის სურვილებია, ხოლო „ისრაელი“ – ჩვენი სულიერი გენი – ჩვენში გაცემის სურვილის, შემოქმედთან კავშირის დამყარების სურვილის ჩანასახი, რომელიც ჩვენი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე უცერად ილვინებს და იწყებს ბრძოლას ეგოისტურ სურვილებთან – ბერძენებთან. სწორედ ამ შინაგან ბრძოლას განასახიერებს ხანუქის დღესასწაული.

## ადამიანი და სანთელი

ხანუქის დღესასწაული ერთი სანთლის სასწაულის დღესასწაულია. სანთელი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: სანვალისაგან (ზეთი, პარაფინი, ფიჭა), ფითილისა და ცეცხლისაგან.

კაბალისტები გვიხსნიან, რომ სანთლის მსგავსად ჩვენც ძალიან უბრალო მატერიისაგან – სიამოვნების მიღების სურვილისაგან ვართ შექმნილი. სწორედ ეს სურვილია ჩვენი მამოძრავებელი ძალა, ჩვენი სანვალი. ადრე სანთლის მაგიერ შუშის ჭურჭელში ჩასხმულ ზეთს იყენებდნენ. ჭურჭელი (ივრითზე – „ქლი“) მიღების სურვილს ნიშნავს.

კაბალა ლაპარაკობს შემოქმედსა და ქმნილების ურთიერთობაზე. შემოქმედს კაბალაში ხშირად „შუქს“, „გაცემის სურვილს“ უწოდებენ. ქმნილებას კი – „ქლის“ (ჭურჭელს), „მიღების სურვილს“. ქმნილების (ანუ ადამიანის) მიზანია მიიღოს ის, რისი მიცემაც მისთვის შემქმნელს სურს, თანაც ისე, რომ თავისი (მიღების) თვისებით შემქმნელის (გაცემის) თვისებას დაემსგავსოს. ამისათვის ადამიანი თავის თავში ქმნის ეგრედ წოდებულ „ეკრანს“, რომლის საშუალებითაც „შუქი“, „ქლი“ – ში შედის. ფითილი სწორედ „ეკრანის“ სიმბოლოა.

ფითილი არის სიმბოლო ადამიანში არსებული უკუგაძნების, წინააღმდეგობის სულიერი ძალისა. ეს ის ძალაა, რომელიც ჩვენს შინაგან ბრძოლას გამოხატავს, ბრძოლას ჩვენში არსებულ ისრაელსა და ბერძენებს შორის, ბრძოლას სულიერი სამყაროს შეცნობის სურვილსა და არსებობის მატერიალურ დონეზე დარჩენის სურვილს შორის.

რაც შეეხება ცეცხლს, მისი ანთება ადამიანში მისი სულიერი გენის – ისრაელის („იამარ ელ“ – პირდაპირ შემქმნელისაკენ) გამოლვიძების, მისი გამარჯვების სიმბოლოა. ხანუქის სანთლების ანთება მიგვითხრობს სულიერ პროცესზე, რომლის განმავლობაშიც ადამიანი თანდათან ანეითარებს თავის კავშირს უმაღლეს ძალასთან, რომელთან კონტაქტში შესვლისთვისაც საკმარისია მხოლოდ სურვილი. თუ მართლა მოვინდომებთ, რომ ამ ძალას დავემსგავსოთ, ანუ შევიძინოთ მისი თვისება – გაცემის თვისება, მაშინ ჩვენს გულშიც ანთდება ხანუქის სანთელი და „სიბნელე განათებას, როგორც შუქი“ („თეჰილიმი“ – საგალობელი). ამ სრულყოფილების სიმბოლოა „ხანუქა“ – ხანუქის შანდალი.

ხანუქის შანდალში ცხრა სანთელია. ერთ მათგანს მორიგე, დამხმარე სანთელი ეწოდება და სხვა სანთლებთან შედარებით განსაკუთრებული, მაღალი ადგილი უჭირავს. სწორედ მისი მეშვეობით ანთებენ ყველა დანარჩენ სანთელს.

ეს მთავარი სანთელი – „შამაში“ ასახიერებს ადამიანს, რომელიც ბოლომდე მიჰყვება თავის გულისთქმას, ბოლომდე ჯიუტად შეინარჩუნა მის სულში ანთებული პირველი ნაპერწკალი, განვლო სულიერი ამაღლების გზა, ანუ განთავისუფლდა საკუთარი ეგოიზმისაგან, შეიცნო უმაღლესი სამყარო, გასცა დროისა და სივრცის საზღვრებს და შეიცნო მარადისობის კანონი, რომელიც რაბი აკივას ამ უბრალო სიტყვებში გამოხატება – „გიყვარდეს მოყვასი შენი როგორც თავი შენი“.

სასწაული? სასწაული იმაში გამოიხ-

ატება, რომ ადამიანი თავისი თვისებებით შემოქმედს ემსგავსება.

ხანუქის სასწაული შამაში, პირველი სანთელი... შამაში, პირველი, მეორე სანთელი... შამაში, პირველი, მეორე, მესამე სანთელი...

ზეთით სავსე სუფთა ჭურჭელი ან პატარა, თითქოსდა, ბავშვურად გაფერადებული მრავალფერადი სანთლები, ცეცხლის ციმციმი. დედის, მამის, ბავშვების თათები, რომლებიც სანთლებს ანთებენ და თითქოს ამასთან ერთად, ცეცხლს უფრთხილდებიან, ჩურჩულით წარმოთქმული ლოცვა. თბილა, შუქი მოდის, რა კარგია... სასწაული მაინც მოხდა, ერთი სანთლის სასწაული... გილოცავთ დღესასწაულს, ხანუქის დღესასწაულს, ძვირფასო მეგობრებო!

## კაბალისტის პასუხები

(რამდენიმე შეკითხვა ისრაელის საზოგადოებრივი არხის ყოველკვირეული სატელევიზიო გადაცემიდან „შეკითხვები კაბალისტს“, რომელიც ტელემაყურებელთა შეკითხვებზე პირდაპირ ეთერში პასუხობს მეცნიერი – კაბალისტი, მიხაელ ლაიტმანი)

**კითხვა:** შევამჩნიე, რომ ამ ბოლო ხანს დიდი ხმაური შეიქმნა კაბალის გარშემო. მინდა პირადად თქვენ გკითხოთ: რა არის კაბალა?

— კაბალა განისაზღვრება ასე: ადამიანისათვის შემოქმედის ამქვეყნიად გამოვლენა. ე.ი. თუკი ნებისმიერ ადამიანს, ზუსტად ისეთს როგორც ხართ თქვენ და ვარ მე, გაუჩნდება მისწრაფება, სურვილი, გამოავლინოს უმაღლესი ძალა, რომელიც შემოქმედებას ახდენს მასზე, მუდმივად თან ახლავს და განსაზღვრავს მის ცხოვრებას, მას ამის გაკეთება შეუძლია კაბალის დახმარებით. მეცნიერება კაბალა ეს არის შემოქმედის გამოვლენის საშუალება, ანუ პირადად ყოველი ადამიანის მიერ შემოქმედის ინდივიდუალური აღქმა. ის არ არსებობს. მასში არავითარი მისტიკა არ არსებობს. ეს არის მეცნიერება (მას ზოგჯერ უმაღლესი სამყაროს ფიზიკას უწოდებენ) მთელი სამყაროს (ქვეყნიერების) შესახებ, რომლის შესწავლაც ადამიანს საშუალებას აძლევს პასუხს გასცეს კითხვას თავისი არსებობის მიზეზისა და მიზნის შესახებ, საშუალებას აძლევს გაარკვიოს თავისი ადგილი ცხოვრებაში, გამოიკვლიოს და მიიღოს საუკეთესო შესაძლო გადაწყვეტილება თავისი მდგომარეობის უკეთესობისაკენ შეცვლის მიზნით.

**კითხვა:** დავინყე ინტერნეტით თქვენი ღამის გაკვეთილების ყურება და მინდა გკითხოთ: იცინათ თუ არა კაბალისტებს ის, რაც ჩვეულებრივმა ადამიანებმა არ იციან? და თუ იციან, როგორ მიიღეს მათ ეს ცოდნა და საიდან?

— კაბალისტები ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კაბალისტური მეთოდისი მეშვეობით მათ განავითარეს გრძნობის დამატებითი ორგანო, რომელსაც ეწოდება „ეკრანი“ (მასახ), „სული“ (ნეშამა) ან „მექვეცხ გრძნობა“. მისი საშუალებით მათ შეუძლიათ დაინახონ რეალური სამყაროს ის ნაწილი, რომელიც ჩვენთვის ფარული და მიუწვდომელია.

ჩვენ ამ სამყაროში ვარსებობთ. ჩვენთვის ნათელია: სამყარო არ არის სრულყოფილი, ისიც კი არ ვიცით, თუ რა მოხდება მომდევნო წამს. კაბალისტებს კი, განვიითარეს რა შეგრძნების განსაკუთრებული ორგანო, რომელიც მათ ანიჭებს საკუთარი თავიდან გამოსვლის და განსაკუთრებული ალტერნატიული უნარს, შეუძლიათ აღიქვან რეალობის უფრო ფართო სპექტრი, რომელსაც სულიერი, ანუ უმაღლესი სამყარო ეწოდება. ამის მეშვეობით ისინი გრძნობენ და ესმით თუ რა ხდება მთელ სამყაროში, მთელ რეალობაში. კაბალისტი ძალთა იმ დაფარულ ბაღეს აღიქვამს, რომელიც ჩვენს რეალობას, ჩვენი ცხოვრების სურათს ხატავს.

**კითხვა:** შეუძლია თუ არა სახელის შეცვლას იქონიოს რაიმე გავლენა ადამიანის ბედზე?

— სახელები, საცხოვრებელი ადგილის, ან რაიმე სხვის შეცვლას გავლენა შეუძლია მოახდინოს არა ადამიანის ბედზე, არამედ მის ფსიქოლოგიურ თვითშეგრძნებაზე. ამ თვალსაზრისით სახელების ცვლილებამ შესაძლოა, მართლაც გამოიწვიოს გარკვეული დადებითი ცვლილებები ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ აქ ადგილი ექნება მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიურ

ეფექტს. ცხადია, რომ ყველაფერი ადამიანის არჩევანზე, მის მიერ საკუთარ თავზე ჩატარებულ მუშაობაზე დამოკიდებულია. არსებობს მხოლოდ ერთადერთი საშუალება, რომელსაც ადამიანის ბედის შეცვლა შეუძლია – ადამიანმა საკუთარი ნებით უნდა დაიწყოს წინსვლა სამყაროს შექმნის მიზნისაკენ. მაშინ მასზე შესწევს მოქმედებას ამ მიზნისაკენ იძულებით მიმართავი ბუნებრივი ძალები.

**კითხვა:** როგორ ხსნის კაბალა ისეთ პრობლემას, როგორცაა განქორწინება? რატომ ხდება ეს ასე ბევრ ოჯახში და როგორ შეიძლება ამის შეჩერება?

— განქორწინება თანამედროვე საზოგადოების მწვავე პრობლემაა, არა მარტო ისრაელში, არამედ მთელ მსოფლიოში. საქმე იმაშია, რომ მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში, თაობიდან თაობამდე კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ჩვენს სამყაროში ბრუნდებოდა ერთი და იგივე სულები, იგივე ადამიანები, რომლებმაც გამოიარეს მრავალი რეინკარნაცია. ყოველი შედგომი დაბრუნებით ჩვენ განუწყვეტილ ვზრდით ჩვენს ეგოიზმს, სიამოვნების მიღების სურვილს, ყველაფრის შთანთქმის სურვილს. და ჩვენს თაობაში უკვე მივედით იმ მდგომარეობამდე, რომ ყოველი ჩვენგანი არის აბსოლუტური ეგოისტი, რომელსაც ახლოდროული მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ რაიმე გამოიყენოს.

ეს ეგოიზმი იმდენად ძლიერია, რომ ჩვენ გვიჭირს ვიცხოვროთ ჩვენს საკუთარ ოჯახშიც კი, ჩვენს პარტნიორთან ერთად. ბავშვები, ნამოიზრდებიან თუ არა, უკვე ვეღარ ეგუებიან მშობლებთან ერთად ყოფნას და აღარც მშობლებს სურთ შვილებთან ერთად ცხოვრება. ადამიანი უკვე საკუთარ თავთანაც კი განუწყვეტილ კონფლიქტშია. ჩვენი ეგოიზმი ისე გაიზარდა, რომ მისი ატანა ძალიან გვიძიმს. ამიტომაც ჩვენ უკვე უნარი აღარ შეგვწევს შევქმნათ საზოგადოების თუნდაც ისეთი ელემენტარული, მცირე და ბუნებრივი უჭრული, როგორცაა ოჯახი, რომლის შექმნასაც თვითონ ბუნება გვაძლავდებულვს.

არსებობს ისეთი ფორმა, როგორც ოჯახია, ხომ ცხოველებისთვისაცაა დამახასიათებელი, მაგრამ ადამიანის ეგოიზმმა უკვე ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ ჩვენ ვეღარ ვიჭერთ ჩვენს თავს ბუნების კანონების ჩარჩოებშიც კი. ეს კი მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენი თაობა ვალდებულია გამოასწოროს საკუთარი თავი და ამ მატერიალური დონიდან სულიერ დონემდე ამაღლდეს.

**კითხვა:** ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემი ცხოვრება გამუდმებულ ტანჯვად იქცა. მინდა ვიცოდე – რა ხდება ჩემს თავს?

— კაბალა გვიხსნის, რომ ტანჯვა შედეგია ბუნების ძალის ზეწოლისა, რომელიც რაღაც მიზნისაკენ გვიბძვებს. ეს ფიზიკურ ტკივილს წააგავს: ტკივილის შეგრძნება რომ არ არსებობდეს, ავადმყოფობა ჩვენდა შეუმჩნეველად ისე გავრცელდებოდა და გაძლიერდებოდა ჩვენს სხეულში, რომ მის განკურნებას ვეღარ შევძლებდით. ტკივილის დანიშნულებაა ყურადღება მიაქცივინოს ადამიანს დაავადებული ადგილისაკენ.

სწორედ ასე უნდა განვიხილოთ ჩვენი ცხოვრების ნებისმიერი მოვლენა – კარგი თუ ცუდი, განსაკუთრებით ცუდი. მათში მონოდება დაფარული: „მიაქციე ყურადღება! რატომ ხდება ეს შენს თავს?“.

თუკი ჩვენი მსმენელი მიხვდება, რომ მისი ტანჯვა შემთხვევითი არაა და კი არ გაექცევა ტკივილს როგორც პატარა ბავშვი, არამედ თვალს გაუსწორებს მას და ეცდება მისი მიზეზისა და მიზნის გამოკვებას. შესძლებს მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, როცა მას ტანჯვით კი არ უზიდავებენ წინსვლისაკენ, არამედ ის თვითონ, საკუთარი ნებით, დარტყმების გარეშე იმოძრაებს ამ მიზნისაკენ. ის გარძნობს, რომ ტანჯვა სასჯელი კი არა, საჩუქარია, რომლის ერთადერთი მიზანიც ადამიანის გამოვლიძებაა. ის დაინახავს, რომ ადამიანის ბუნება მიღების სურვილია (ასეთი „მასალისაგან“ ვართ შექმნილები), რომ არსებობს სხვა სახის ბუნებაც – გაცემის სურვილი – ამას ჰქვია სულიერი სამყარო. და ამ ქვეყანაზე ადამიანის სიცოცხლის ნამდვილი მიზანი სწორედ ამ მეორე ბუნების შექმნაა.

## წყარო:

კაბალის საერთაშორისო აკადემია

http://www.kabbalah.info

მკითხველთა მოსაზრებებისა და

კითხვებისათვის

Kabbalah.ge@gmail.com

რას ვპითხოვთ  
ამ კვირაში?  
რუბრიკას უძღვება  
საქართველოს მთავარი რაბინი  
**არიელ ლევინი**



კვირის საკითხავი თავი "მიკეცი" წინა თავის "ვაიემე" -ის გაგრძელებაა, რომელიც გვიამბობს იოსებზე. როგორც ცნობილია, იოსები ეგვიპტეში ჩააგდეს დილეგში, სადაც 12 წელი იჯდა, 18-დან 30 წლამდე. 17 წლის იოსები ძმებმა მონად გაყიდეს და ცოტა ხანში პოტფარის მეუღლის დაბეზღებით, მას ჯურღმულში აგდებენ. ასეთ ადრეულ ასაკში ასეთი გამოცდის გადატანა ძნელია, მაგრამ იოსები არ შედრკა და ყველგან ღირსეულად ექირა თავი. საბოლოოდ სწორედ ამან აამალა იგი. თორა გვიამბობს, რომ დილეგში ის ხვდება ფარაონის ღვინის მხაპავთან და პურის მცხო-


# მიკეცი

ბელთან ერთად. თითოეულს ესიზმრება უცნაური სიზმარი, რომელთაც იოსები ახსნის. ღვინის მხაპავი შემდგომში ამას იხსენებს ფარაონთან, რომლის სიზმარსაც, მისთვის დამაკმაყოფილებლად ვერაფერი ხსნის. გასაგებია, რომ ყველაფერი ეს ხდება გამჩენის ნებით. იოსები დილეგში მამასთან ძმებზე ავსიტყვობის ცოდვის გამოა გამომწყვდეული. ღვინის მხაპავი კი დილეგში ხვდება იმისათვის, რომ იოსები გამოიყვანოს იქიდან. გაუგებარია მხოლოდ ამ ზეციურ ჩანაფიქრში რა როლი აკისრია მცხობელს. მისი სიზმრიდან გამომდინარე, რომელიც იოსებმა ახსნა, იგი ჩამოახრჩვეს. ამ კითხვაზე პასუხობს თორის ერთ-ერთი უდიდესი კომენტატორი "მეშხ ხობმა". იოსებს რომ მართო ღვინის მხაპავის სიზმარი აუხსნა, იგი ვერ დაინახავდა იოსების მთელ ძალას და სინმინდეს. მას შეეძლო ეფიქრა, რომ იოსებმა შემთხვევით ახსნა სწორად მისი სიზმარი. როცა იგი ახსნილი სიზმარი ასრულდა, მან შეძლო იოსების ღვთური შესაძლებლობების სიძლიერის დანახვა და ამასვე ამცნობს ფარაონს. გამოდის, რომ მცხობელი გამჩენის წინაშე ჩადენილი რომელიც ცოდვისათვის ისედაც უნდა დასჯილიყო, გამჩენი კი ისე წარმართავს ამას, რომ იოსები ხსნის მის სიზმარს, რითაც ღვინის მხაპავს განუმტკიცდება ნდობა მის მიმართ. ად-

ვილი შესაძლებელია იმის წარმოდგენა, თუ რამდენ ადამიანს შეეშურდა მცხობელის, როცა ის ასეთ "სარფიან" თანამდებობაზე დაინიშნეს. ებრაელებო, ნუ შეგშურდებთ ნურავის სიკეთე. როგორ არ გაგახსენდება აქ ცხენზე, ვირისა და ღორზე მოთხრობილი ძველი იგავი. ვირმა ცხენს შესჩივლა, პატრონებს ჩვენ ვემსახურებით, მაგრამ ღორი ჩვენზე მეტ საკვებს ღებულობს, თუმცა, არაფერს აკეთებს. დიდად დღესასწაულამდე, უპასუხა ცხენმა. როცა პატრონმა სადღესასწაულოდ ღორი დაკლა, ვირი ყველაფერს მიხვდა.

კვირის საკითხავი თავი "მიკეცი" ჩვეულებრივ ხანუქის დღესასწაულის დროს იკითხება და ჩვენი ბრძენი ხედავენ მსგავსებას ხანუქასა და "მიკეცს" შორის. ჯერ ერთი, ის რომ თავი იწყება სევდიანად, იოსები დილეგშია გამომწყვდეული, ახლობლებისაგან შორსა და თავდება იმით, რომ იოსები ხდება ეგვიპტის მეფე და ძმებთან ერთად იხსენს. ხანუქის მოვლენებიც ასევე ვითარდება, თავიდან ბერძენთა ბატონობის უკუნი, ბოლოს კი ხანუქის შუქი და მაკაბელთა გამარჯვება. მეორეც ის, რომ ფარაონის სიზმრებში, რომლებიც იოსებმა ახსნა, ჩანს, თუ როგორ გადაყლან სუსტმა ძროხებმა ძლიერები და პურის პატარა თავთავებმა დიდები. ხანუქაც ხომ ამას გვიჩვენებს, თუ როგორ გაიმარჯვეს მცირერიცხოვანმა ებრაელებმა იმდროისათვის ყველაზე ძლიერ იმპერიაზე.

მე ვულოცავ საქართველოს თითოეულ ებრაელს ხანუქის დღესასწაულს. დაე, ხანუქის სანთლების შუქი ბრწყინავდეს ყოველ ებრაულ ოჯახში.




### გილოცავთ!

რატომ გახდა საჭირო ხანუქის სასწაულის გამოყოფა სხვა სასწაულთა შორის და რვადღიანი დღესასწაულის დანესება? ჩვენს წიგნებში წერია, რომ იქ, სადაც ნახსენებია ზეთი ლამპარისათვის, ყოველთვის მინიშნებულია "გულის სიბრძნისა და ჭკუის ძალაზე". აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გავერკვეთ ხანუქის ჭეშმარიტ არსში. რადგანაც ებრაელებმა მოისურვეს მიცვის შესრულება მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ჰქონდათ რვა დღისათვის საკმარისი ზეთი, ზეცა თავადდაეხმარათ განმედილიყვნენ იმ უწმინდურებისაგან, რაც ტაძარში შესვლისას დახვდათ, მოემზადებინათ სინმინდეში ახალი ზეთი და გაეღვივებინათ თორის ნაპერწკალი. ამიტომ ერთი დღის სამყოფი ზეთი რვა დღის განმავლობაში.

სწორედ ასეთი სასწაულის საპატივცემულოდ, გამჩენის სადიდებლად და მის მიმართ მაღლიერების გამოსახატად დაგვინესეს ბრძენებმა ხანუქა. ებრაული კალენდრით ის იწყება 25 ქისლევს და გრძელდება რვა დღე. სანთლებს ანთებენ სპეციალურ სასანთლებში, რომელთაც ხანუქებს უწოდებენ. პირველ დღეს ინთება ერთი სანთელი დამხმარე სანთლის, შამაშის მეშვეობით, მეორე დღეს – ორი და ა. შ. შამაში კი ამ სანთლებთან ერთად ანთია, რადგან ხანუქის სანთლის შუქით არ შეიძლება სარგებლობა. შამაში ინახავს ამ სანთლების სინმინდეს. ხანუქა მხიარული დღესასწაულია და მთელი ამ რვა დღის განმავლობაში არ მარხულობენ, არ გლოვობენ მიცვალებულებს. ამზადებენ გემრიელ კრემიან ფუნთუშებს (ებრაულად - სუფგანით), კერძებს ზეთზე (მაგ. კარტოფილის ლატკესებს), მიირთმევენ რძის პროდუქტებს. ეს დღესასწაული გამორჩეულია იმითაც, რომ სინაგოგაში ჰალელს კითხულობენ მთლიანად.

ჩვენი ცხოვრება სავსეა სასწაულებით, რომელთაც გამჩენი გვიგზავნის. გვინდა ყველას ვუსურვოთ დაინახოს ეს სასწაულები, დააფასოს და სათანადოდ მიცვივის შესრულებით უპასუხოს გამჩენს.

საქართველოს მთავარი რაბინი  
**არიელ ლევინი**  
საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი  
**ავიმაღს როზენბლადი**



## მიხეილ როზენბლადი - 80

ვულოცავ ღირსეულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს აკადემიკოს მიხეილ როკეტლიშვილს დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. 2008 წლის 15 დეკემბერს სრულდება 80 წელი ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსისა და ამ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ნიუ-იორკის დსთ-დან იმიგრანტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერის ბატონ როკეტლიშვილის დაბადებიდან. გულით და სულით ვულოცავ შესანიშნავ პიროვნებას, ღირსეულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სიკეთის მთესველს, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორს, ქართველ, ებრაელ და მსოფლიოს სხვადასხვა ერებს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის დაუღალავად მზრუნველ ადამიანსა და ჭეშმარიტ მეგობარს — აკადემიკოს მიხეილ როკეტლიშვილს დაბადებიდან 80 წლის იუბილეს, ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბედნიერ შემოქმედებით ცხოვრებას.


ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს (აქვე შეწყვეტ მისი რეგალიების ჩამოთვლას, რადგან ყველას მოეხსენება გაზეთში დიდ ადელს დაიჭერს) ბატონ მიხეილ როკეტლიშვილს 80 წელი შეუსრულდა. ჩვენი გაზეთის სასურველი ავტორი მიხეილ როკეტლიშვილი გახლავთ გულმხურვალე ადამიანი, პიროვნება, რომელიც ვიდრე თბილისში იყო. ცხოვრობდა საქართველოს ებრაელობის ინტერესებით, თითქმის არ აკლდებოდა არც ერთ საზოგადო შეკრებას, რომელზეც ებრაელებზე, ან მის ღირსეულ შვილებზე იქნებოდა საუბარი. თავად მუდამ მზად იყო ებრაელობის სამსახურად, კეთილ საქმეთა საკეთებლად. შემდეგ ბატონი მიხეილი საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა და საზოგადო ინტერესებით ცხოვრება აქ მეტის ინტენსივობით განაგრძო — სათავეში ჩაუდგა ორგანიზაცია „თარბუთს“, რომელიც ნიუ-იორკის ქართველ ებრაელობაში ერთობ სასიკეთო საქმიანობას ეწეოდა. „თარბუთის“ ეგიდით ქინის ბეით-ქნესეთი სისტემატურად აწყობდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. ამით ბეით-ქნესეთი გახდა ნამდვილი სულიერი ცენტრი ნიუ-იორკის ქართველი ებრაელობისა. პირველი (იქ, სადაც დღემდე საში ლოცვა იმართებოდა) და ქვედა სართული (რომელშიც ეს ღონისძიებები ტარდებოდა), თითქმის ერთმანეთს ავსებდა. ის სულიერება, რომელსაც მლოცველნი პირველ სართულზე იღებდნენ, აქ, ქვედა სართულზე, განსხვავდებოდა — ადამიანები ერთმანეთს კეთილშობილური ურთიერთობის, ინტელიგენტობის, სხვათა ღვინის დაფასების მაგალითს აძლევდნენ და ყველაფერი ამის სულისჩამდგმელი ჯერ ბ-ნი ილო იოსებაშვილი იყო, შემდეგ კი ბ-ნი მიხეილ როკეტლიშვილი.

ყოველი წიგნი ადამიანის სულის გამომზეფრებაა. გადაფურცლეთ ბ-ნი მიხეილის მიერ ამას წინათ გამოცემული სქელტანიანი წიგნი და თქვენ დაინახავთ, შეიგრძნობთ თუ როგორი ადამიანი მიხეილ როკეტლიშვილი — თანამედროვე ქართველ ებრაელობაში თითქმის არ არის ქართველი ებრაელი მოღვაწე, რომელსაც ბატონი მიხეილი თბილი სიტყვით არ მიგვებოდეს. არ შეხმინებოდეს მის საიუბილეო თარიღს, თუ მის მიერ გაკეთებულ ღირსეულ საქმეს. მას აქვს შესაშური უნარი — ხარობდეს თავისი ერის შვილთა მიღწევებით, ცხოვრების მდინარეში გამოარჩევდეს დადებითს, იმას, რასაც ქართველი ებრაელობისათვის სიკეთე მოაქვს. სწორედ ამის გამოა, რომ იგი თავის კეთილ სიტყვას შეაშველებს საქართველოში, ისრაელსა, თუ აშშ-ში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა ღირსეულ შვილებს, წარმოაჩინს იმას, რაც ამ ადამიანებს გაუკეთებიათ. ბატონ მიხეილზე ზოგჯერ ამბობენ, რომ იგი პატივისცემის, სიყვარულის გამოხატავაში დაუშურველია, ზოგჯერ აჭარბებს კიდევცო. რასაკვირველია, თვალდახუჭულ სიკეთეს ყოველთვის არ მოაქვს დადებითი შედეგი, მაგრამ ისიც ხომ ცხადია: სჯობს სიყვარულში, სიკეთის ქმნაში გადააჭარბო, ვიდრე სიავის ქმნა, ან სხვათა ღირსების დაუნახაობა დაუდო სათავედ შენს საქმიანობას. ეს ცოდვაა. ხოლო ცოდვასა და გადაჭარბებას შორის დიდი ზღვარია.

ბ-ნი მიხეილი „ნევეშ იუდის“ — ებრაული სულისკვების მატარებელი ადამიანია. ეს აპოკალიფს ადამიანებისაკენ მიმავალ გზას, ეს არის მისი ადამიანობის „პერპენტუმობილი“. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი მიხეილი 80 წლისაა, იგი კვლავაც ჭაბური მხნეობით ხასიათდება. ამიტომ მიხეილ როკეტლიშვილს ვულოცავთ რა ამ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ კვლავაც ჯანსაღეობით, მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით ეცხოვროს იმ ასაკამდე, რომელსაც ებრაელები ერთმანეთს შესძახებენ:

— ასოც წლამდე, ბატონო მიხეილ, თქვენ სიკეთის გამავრცელებელი, სხვათა ღირსების დამნახავი, შემფასებელი იყავით და ხართ. ეს კი ერთობ საჭირო თვისებაა.

ად მეა ვეესრიმ!



გუარამ ბათიაშვილი

აღწერა აკრატაშვილი  
ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, თბილისის ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტის რექტორი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიისა და აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გუარამ ბათიაშვილი



**ცნობილ ბიზნესმენსა და მეცნიერს ბაბალოვის ყომპლექსისა და სხვა ყვითელ საქმეთა ავტორს ილია შოსიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს.**

**"მენორას" 15 წლისთავს ულოცავენ:**

გულითადად ვესალმებით საქართველოში ქართველენოვანი ებრაული გაზეთი „მენორას“ ქტიტორ-თანამდგომთ, დამფუძნებელ-გამომცემელთ, მთავარ რედაქტორს — ბატონ გურამ ბათიაშვილს, ასევე, გაზეთის მკითხველებს მთელ მსოფლიოში, ყველასათვის ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი და მნიშვნელოვანი გაზეთის გამოსვლიდან მე-15-ე წლისთავთან დაკავშირებით.

ბ-ნო გურამ, გვახსენდება 1993 წლის ომიანი, აფორიაქებული, სუსხიანი ზამთრის თბილისი — გაზეთის გამოცემის თაობაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციაში გამართული სჯა-ბაასი...

საქართველოს, ისრაელის, მსოფლიოს 15 წლოვანი უამთავლის უამრავი ამბავი გვაუწყა გაზეთმა თავის 288 ნომრის ასეულობით ფურცელზე, ისტორიის საუკუნოვანი შრებებიდან გამოხმობილი ამბებიც მოგვითხრო და მეტაფიზიკურ სიმაღლესაც მიგვაახლა — თეოლოგიური ხასიათის პუბლიკაციებით...

აი, რა შეუძლია მიზანსწრაფულობას, ხალხის სიყვარულს, მისდამი მსახურების სურვილს...

კვლავაც ღირსეულად შეგვსრულდებოდა გაზეთის მნიშვნელოვანი მისია და მაღლა გეტარებინოთ ქართველ ებრაელთა და ქართველთა ურთიერთსიყვარულით განათებული ძმობის დროშა...

ერთსაც ვისურვებდით — გაზეთი ყოველკვირეულად გამოდიოდეს — ვფიქრობთ, ასეთია დროის მოთხოვნა.

**გივი ლამაზიძე**

დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის დირექტორი, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი.

**თბილისის ებრაული სათემო სახლის დირექტორთა საბჭო და თანამშრომლები გულითადად ულოცავს გაზეთი „მენორას“ და პირადად მის რედაქტორს ბატონ გურამ ბათიაშვილს გაზეთის დაარსების 15 წლისთავს და დიდ წარმატებებს უსურვებს შემოქმედებით საქმიანობაში.**

„მენორა“ უკვე 15 წლისაა. რაოდენ სასიხარულოა, რომ მან დაუბრკოლებლად განვლო ბათ მიცვისა და ბარ მიცვის ასაკი. იგი თანდათანობით იხვენებოდა, ძლიერდებოდა, საინტერესო ხდებოდა. მან, თბილისში ყოფნისას არც ერთ ნომერს არ ვტოვებდი ნაუკითხავს. ეს ხომ ჩემი გაზეთია, რომელშიც ვკითხულობ ჩემი თემის, ჩემი ხალხის შესახებ ახალ ინფორმაციას, ხან სასიხარულოს და ხან — დამაფიქრებელს. არც ყოფილა საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში არც ერთი მეტ-ნაკლებად საყურადღებო მოვლენა, „მენორა“ რომ არ გამოხმაურებოდა. არც ისრაელის მნიშვნელოვან ამბებს ტოვებდა უყურადღებოდ. ეს კი უფრო ამრავალფეროვნება და საინტერესოს ხდიდა გაზეთს.

მე თუ მკითხავთ, „მენორაში“ გამოქვეყნებულ მასალებიდან რომელს მივიჩნევდი ყველაზე აქტუალურად, მოგახსენებთ, რომ ესაა აბესაძის 10-ში მდებარე ყოფილი სინაგოგის ირგვლივ დატრიალებული ამბები, ის პუბლიკაციები, რაც ამ სინაგოგასთან დაკავშირებით დაიბეჭდა. უფრო ადრე კი ასევე მკაცრი წერილები დაიბეჭდა ებრაული სასაფლაოების არაერთგზის დარბევასთან დაკავშირებით.

„მენორას“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში წავიკითხე თქვენი წერილი „ასავალ-დასავალის“ რედაქტორ ბატონ ლაშა ნადარეიშვილისადმი, რომელმაც თავის გაზეთში დაბეჭდა ანტისემიტური ხასიათის წერილი. თქვენი პასუხი ამ პუბლიკაციის გამო საერთოდ ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ თქვენ, როგორც ებრაული გაზეთის რედაქტორს, ვფიქრობ, უფრო მკაცრი ტონი უნდა მიგეცათ თქვენი პასუხისათვის. დაე, თქვენი მეგობრობა დარჩეს მეგობრობად, თუ თქვენ ამის სურვილი კიდევ გაქვთ მისი („ასავალ-დასავალი“) პუბლიკაციების შემდეგ, მაგრამ თქვენი პასუხის ნამკითხველს არ უნდა დარჩეს უკმაყოფილების გრძნობა. ვიცი, შეგეძლოთ უფრო მკაცრად გეპასუხათ და ამიტომაც მომეჩვენა თქვენი წერილი არასაკმარისად მწვავე.

მხარია, რომ „მენორაში“ „ხმა ებრაელისა“ და „მეკავების“ ხვედრი აიცილა. ისიც მახარებს, რომ რაც დრო გადის, იგი უფრო მეტად ებრაული ხდება. მაგრამ მაინც მინდა ვუსურვო ჩვენს „მენორას“ გაუძლოს ყოველგვარ კატაკლიზმებს და გახდეს ყველასათვის აუცილებელი, საყვარელი გაზეთი.

**შალვა ნინუაშვილი**

რედაქციისაგან: ამით დავამთავრეთ მოსალოცი წერილების ბეჭდვა. მაღლობას მოვახსენებთ ყველა ორგანიზაციას, პიროვნებას, ვინც „მენორას“ 15 წლის თარიღი მიულოცა.

**დისერტაცია**

23 დეკემბერს, თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, გამართა არქიტექტორ ბატონ შოთა ბოსტანაშვილის სადოქტორო დისერტაციის დაცვა.

დისერტაციის თემა გახლდათ: „სივრცის პოეტიკა, — სინაგოგებისა და ებრაული სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში“.

ოპონენტები გახლდნენ: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ხელოვნებათმცოდნე დავით ანდრიაძე და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგი, არქიტექტორი გურამ ყიფიანი.

დისერტაციის მოხსენებისა და ოპონენტების გამოსვლის შემდეგ კამათში მონაწილეობდნენ პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე, პროფესორი ლევან ბერიძე, მწერალი გურამ ბათიაშვილი, პროფესორი გიგა ბათიაშვილი, პროფესორი ვახტანგ დავითაია, მწერალი, პოეტი გივი შახნაზარი, პროფესორი მზია მელაშვილი, ელენე კალანდაძე, თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დეკანი, პროფესორი გოჩა მიქიაშვილი, პროფესორი გენრი კუპრაშვილი, ებრაული თემის წევრები: შალვა თეთრაშვილი, ზაირა დავარაშვილი, სოსო აჯიაშვილი.



**ებრაული სატილებრაფო სააგენტო გვატყობინებს**

**ეგვიპტელი აქტივისტები მთავრობას მოუწოდებენ გააუქმონ ყოველწლიური ებრაული ფესტივალი ნილოსის დელტაში.**

ათასობით ისრაელელი ყოველწლიურად მიემშურება ეგვიპტეში. XIX საუკუნის მაროკოს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტული რაბინის იაკობ აბუ ხაცერას დაბადების დღის აღსანიშნავად. ხაცერა დაკრძალულია ნილოსის დელტაში, სოფელ დემიტოში.

ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს ისრაელელთა საქციელსა და მდიდრულ ჩაცმულობაზე.

— ისრაელელებს სურთ, ადგილობრივმა ფერმერებმა თავიანთი მიწები მიჰყიდონ ებრაელ ინვესტორებს, რომლებსაც აქ სასტუმროთა მშენებლობა აქვთ გაიზნული, — გვატყობინებს სააგენტო ულფ ნენს. აქტივისტთა ჯგუფი სასწრაფოდ აგროვებს 1 მილიონ ხელმოწერას პეტციისთვის, რომელიც ეგვიპტის მთავრობისაგან ფესტივალის გაუქმებას ითხოვს.

ფესტივალი ებრაული კალენდრით რაბინის დაბადების დღეს, 14 იანვარს უნდა ჩატარდეს.

**ცივი ლევინი: ისრაელელ არაბებს შეეძლება პალესტინაში გადასვლა**

ცივი ლევინის მიაჩნია, რომ ისრაელელი არაბების პრობლემის „ეროვნული გადაწყვეტა“ მათი პალესტინის სახელმწიფოში ცხოვრებაა.

იმ დროისათვის, როდესაც შეიქმნება პალესტინის სახელმწიფო, მე შევძლებ მიემართო პალესტინის მოქალაქეებს, რომლებსაც ჩვენ ისრაელელ არაბებს ვუნოდებთ და ვუთხრა მათ: თქვენ ისრაელის თანასწორუფლებიანი მცხოვრებლები ხართ, მაგრამ თქვენი ეროვნული ინტერესები სხვა ადგილასაა. — უთხრა საგარეო საქმეთა მინისტრმა ცივი ლევინმა თელ-ავივის სკოლის მოსწავლეებს.

მისმა განცხადებამ ისრაელის პარლამენტის არაბ დეპუტატთა აღშფოთება გამოიწვია.

„ისრაელის არაბ მოქალაქეთა ფესვები ჯერ კიდევ სახელმწიფოს შექმნამდე არსებობდა“ — იმონშებს კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის ვალე მადადალეუს სიტყვებს გაზეთი „ჰაარეცი“. ისინი ამტკიცებენ სრულუფლებიანი მაცხოვრებლები არიან და მათი ცხოვრებისა და მოქალაქეობის უფლება განხილვას არ ექვემდებარება.

**ხსოვნა**



საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი იუნყება, რომ გარდაიცვალა სემკ-ის რუსეთის განყოფილების პრეზიდენტი, ქართველ ებრაელთა თემის ღირსეული წარმომადგენელი **ბასიკო შალვაშვილი** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დოდო, მიშკო მირილაშვილები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას სემკ-ის რუსეთის განყოფილების პრეზიდენტის, უახლოესი მეგობრისა და მძახლის **ბასიკო შალვაშვილის** გარდაცვალების გამო.

ლიანა, დავით ბააზოვები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას **ბასიკო შალვაშვილის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ცილა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები გამოსთქვამენ ღრმა გულისტკივილს დიდებული პიროვნების ბატონი **ბასიკო შალვაშვილის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე — ნათელა, შვილები: ბადრი, ინგა, დათო, რძლები — ეკა, ხათუნა, სიძე — მაიკი, შვილიშვილები: ანა, შალვა, დათო, ესთერი, ლიზი, ძმა — მიხაელ (მიშა) აჯიაშვილი, სიმამრი — დავით აჯიაშვილი, ცოლისძმები: ჯემალ, ბესიკ, ცოლისდა სულიკო აჯიაშვილები, იუნყებთან:

**შალომ (შალვა) დავითის ძე აჯიაშვილის** გარდაცვალების.

სოსო აჯიაშვილის ოჯახი ღრმა გულისტკივილს გამოთქვამს **შალომ (შალვა) დავითის ძე აჯიაშვილის** გარდაცვალების გამო.

ლიანა, დავით ბააზოვები, ცილა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები გამოსთქვამენ გულისტკივილს და თანაგრძნობას უცხადებენ ნათელა, ჯემალ, ბესიკო და სულიკო აჯიაშვილებს **შალომ (შალვა) დავითის ძე აჯიაშვილის** გარდაცვალების გამო.



**დამფუძნებელი და გამომცემელი:**  
**გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე**  
 თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30  
 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

**რეგისტრირებულია**  
 ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.  
 რეგისტრაციის № 4/1-921

**რედაქტორი**  
**გურამ ბათიაშვილი**